# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 9 სექტემბერი, 2009 წელი.

№ 178 (6278)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## რა პასუხს გასცემს პრეზიდენტი ჯონდის?





2

## სააკაშვილის 8 შავი პარასკევი

მამუკა არეშიძე:

## თუმც რუსები თავს აბსოლუტურად მართლად მიიჩნევენ, კონტაქტები მათთან მაინც საჭიროა



3

## მიშა, შემაგინე!



7

რაც ნაცებმა ქვეყანას დამართეს, იმის ფონზე დედის გინება იავნანასავით მოგეჩვენება კაცს

## ნაცებს რომ ჰკითხო, კუბლაშვილს უნდა დავუჯეროთ და არა პატრიარქს! 4

## ქართულ ტელეკომპანიებს პაატა ბურჭულაძე 6 პარიზიდან ემუქრება

## ნათელი ახლდეს მის სვლას სასუფეველში...



ხანდაზმული დაემშვიდობა იგი საყვარელ სამშობლოს, სახელოვან შვილებსა და შვილიშვილებს, წინაპრების მადლით გასხივოსნებულ შვილთაშვილებს, ძველი და ახალი თაობის უამრავ კოლეგას, საქართველოს ყველა კუთხეში გუნდებს და გუნდებს თაყვანისმცემელთა!..

## ირაკლი სესიაშვილი: საზღვაო აკვატორიაში ვითარების დაძაბვასთან დაკავშირებით თურქეთზე ზეწოლა უნდა განვახორციელოთ 5



ჩვენებური უქმეები

# შაბათ-კვირის ვნებები



**ძვირფასო მკითხველო, ალბათ გაგიკვირდება, რომ ამ შუა კვირაში, შაბათ-კვირაზე დავიწყე საუბარი, მაგრამ ერთი ძალიან საინტერესო „აღმოჩენა“ გავაკეთე:**

— თუ ჩვენი ხელისუფლება, რბილად რომ ვთქვა, რაიმე უნიჭო პიარ-აქციას აპირებს, ამისთვის რატომღაც ე.წ. „უიკენდს“ ირჩევს.

აბა ერთი წუთით დაფიქრდით და მერე მითხარით, ეს თუ ასე არაა.

როდესაც მთავრობის მიერ ჩატარებული, ამ ყოვლად არაფრის მომცემი ღონისძიებების „ციკლი“ დავაფიქსირე, სიმართლე გითხრათ, გულწრფელად გამიკვირდა, მაგრამ რომ გითხრათ დიდხანს ვფიქრობდი, თუ რატომ ირჩევენ დასვენების დღეებს, ასე ვთქვათ „ბოლის გამოსაშვებადო“, ტყუილი იქნება.

ტყუილი იქნება, რადგანაც ძალიან ადვილად მივხვდი სწორ პასუხს.

თქვენ წარმოიდგინეთ და შაბათ-კვირას, თვით „კურიერებიც“ საკმაოდ მწირი სიხშირით ანაგვიანებენ სატელევიზიო ეთერს, ხოლო რაც შეეხება ბეჭდვით მედიას, ის მხოლოდ თბილისის ავტოსადგურებიდან, სხვადასხვა რაიონში მიმავალი მგზავრების ინტერესის სფეროში ხვდება.

ერთი შეხედვით ამ მარტივი, მაგრამ ძალიან ჭკვიანური გათვლის გამო, საქართველოს მოსახლეობა, ყოველ შაბათ-კვირას ხელისუფლების მიერ ჩატარებული სარეკლამო კამპანიის მსხვერპლი ხდება და იძულებულია, რომ რომელიმე ქართულ მხატვრულ ფილმსა და „ანჟელიკას“ სერიებს შორის უყუროს, თუ როგორ „უსმენენ მინისტრები“ ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების, უჯ, უკაცრავად, მოსახლეობის შენიშვნებსა და სურვილებს.

უყუროს, თუ როგორი „შემართებით“ აპირებენ არსებული პრობლემების გადაწყვეტას.

არადა, დამერწმუნეთ, რომ „უდიპლომო სასიძოს“ დაპირებები, გაცილებით უფრო რეალურია, ვიდრე ამ დასავლურ-დიპლომიანთა „დაყენებული, ბრტყელ-ბრტყელი საუბრები“ (მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელნი, საერთოდ აზრზეც არ არიან რა პასუხი უნდა გასცენ, თუნდაც წინასწარ მომზადებულ შეკითხვებსძ.

სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, რომ ხელისუფლების „შაბათ-კვირის ვნებებს“ კვირის შუაგულში გამოვეხმაურო და ერთი მეტად მოკრძალებული თხოვნა შემოგბედო, ჩემო ძვირფასო მკითხველო (არ გაგიკვირდეს და რატომღაც მგონია, რომ მიუხედავად „სასტიკი უარისა“, სამთავრობო წრეები, სააკაშვილისგან ჩუმად, მაინც კითხულობენ გაზეთებს. კითხულობენ კი არა და ზოგიერთი თავისი „კომენტარებისა და განცხადებების“ ამონაჭრებსაც აკეთებს და თავიანთ მომავალ თაობებს არქივის სახით უნახავს. ამიტომ „ძვირფას მკითხველში“ თქვენც იგულისხმებით „პაიცემულებო“ძ:

— ძალიან გთხოვთ, თუ რომელიმე თქვენგანს გულწრფელად გჯერათ, რომ შაბათ-კვირის შოუები რაიმე რეალურ შედეგს გამოიტანს, მითხარით.

მითხარით, ოღონდ არ მომატყუოთ.

უსინდისო ვიყო, თუ სადმე ვთქვა, რომ ამა და ამ ადამიანს, მართლა სჯერა იმ დაპირებების, რასაც „კურიერებში“ ვისმენთ.

არ მინდა, ძალიან გულუბრყვილოდ მოგაჩვენოთ თავი, მაგრამ რატომღაც არც იმისი არ მჯერა, რომ თავად სააკაშვილი იყოს გულწრფელად დარწმუნებული თავისი გუნდის შრომისუნარიანობაში და, რაც ყველაზე მთავარია (მისთვისძ, მის ერთგულებაში.

არც ამის არ მჯერა.

ასევე არ მჯერა, რომ ბატონი გულაშვილის მიერ ჩატარებული კონფერენცია საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის დათბობის საქმეში რაიმე წვლილს შეიტანს (თუ რა ერქვა ამ „ღონისძიებას“, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ახლა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვსძ.

არ მჯერა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იმ „ღონისძიებაზე“ წარმოდგენილი ადამიანები, როგორც საქართველოს, ისევე რუსეთის მხრიდან, რბილად რომ ვთქვა, მაინცადამაინც დიდ ავტორიტეტულ ფიგურებს არ წარმოადგენენ.

გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ: ვინ არიან ის შევჩენკო, ის მამონტოვი ან ის კასაევი ჯერ რუსეთისთვის და მერე საქართველოსთვის?

ვინ არიან? რისი გაკეთება შეუძლიათ? და საერთოდ რა უნდათ?

ნუთუ მთელს რუსეთში არ მოიძებნებიან ისეთი პიროვნებები (ხაზს ვუსვამ: პიროვნებებიძ, რომელთა აზრს, შეხედულებებს, არსებული პრობლემისადმი დამოკიდებულებას უფრო მეტი წონა, უფრო მეტი გავლენა, უფრო მეტი პატივისცემა ექნება, ვიდრე იმ ხალხის გამონათქვამებს, რომელთაც, რბილად რომ ვთქვა, ყოვლად არასაჭირო (მათ ეს ალბათ არ სჭირდებათძ პიარი გაუკეთდათ?

შეიძლება მე ვერ ვხვდები იმ „დადებით ძვრებს“, რომლებიც შეიძლება ოდესმე იმ ბატონებმა განახორციელონ ჩემი სამშობლოსათვის.

ამიტომ ისევ გთხოვთ:

თუ ვინმემ იცით, ჩვენც გაგვაგებინეთ.

ჩვენც გაგვაგებინეთ საქართველოს მიმართ არსებული ის „ფარული სიყვარული“, რომლითაც იძინებენ და იღვიძებენ შევჩენკო, მამონტოვი და კასაევი (ალბათ მიხვდით, რომ არც ტარას შევჩენკო მყავს მხედველობაში, არც თეთრგვარდიელი გენერალ-ლეიტენანტი კონსტანტინე მამონტოვი და არც ფეხბურთელი ალან კასაევიძ.

თუ ვინმე მეტყვის — კარგია.

თუ არა და ისევ შაბათ-კვირას დაველოდები.

**გია გაბრიჭიძე**

ინფორმაცია

## რა პასუხს გასცემს პრეზიდენტი ჯონდის?

**ოპოზიციონერი** დეპუტატი ჯონდი ბაღათურია პრეზიდენტს საგანგებო წერილით მიმართავს და სთხოვს აცნობოს „რის საფუძველზე და რომელ სამართლებრივ აქტზე დაყრდნობით“ აჩუქა ნინო ბურჯანაძეს 12 მლნ ლარად შეფასებული სახელმწიფო ქონება.

მისი თქმით, მან ეს მიმართვა პრეზიდენტს წერილობითი ფორმით უკვე გადაუგზავნა და მისგან პასუხს ელოდება.

„ბატონო პრეზიდენტო, მოგეხსენებათ, რომ სახელმწიფოში ათი ათასობით დევნილი თავშესაფრის გარეშეა დარჩენილი. 900 ათასი ადამიანი სიღატაკის ზღვარს მიღმა პროგრამაში არის რეგისტრირებული და კიდევ 600 ათასი ადამიანი ითხოვს ამ პროგრამაში მონაწილეობას. ქვეყანა განიცდის ღრმა ფინანსურ და ეკონომიკურ კრიზისს. მიუხედავად ამისა, თქვენ მიიღეთ გადაწყვეტილება 12 მილიონ ლარად შეფასებული სახელმწიფო ქონება ერთ ლარად გადაგეცათ პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარისათვის. გთხოვთ, გვაცნობოთ რის საფუძველზე და რომელ სამართლებრივ აქტზე დაყრდნობით მიიღეთ ეს გადაწყვეტილება“ , — აღნიშნულია ბაღათურიას წერილში. მისი თქმით, ეს მოთხოვნა არის სრულიად სამართლიანი და ამ საკითხთან დაკავშირებით არის საზოგადოების დიდი ინტერესი, რის გამოც „პრეზიდენტი ვალდებულია ამ კითხვას პასუხი გასცეს“.

ჯონდი ბაღათურია პარლამენტის თავმჯდომარეს პრეზიდენტის საქმიანობის გამოსაძიებლად პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას სთხოვს. ბაღათურია ამ მოთხოვნის არგუმენტად რამდენიმე ფაქტს ასახელებს.

მისი თქმით, პრეზიდენტივე აცხადებს იმას, რომ მისი პრეზიდენტობის პერიოდში მინისტრები უკანონოდ გამდიდრდნენ.

„თუმცა პრეზიდენტმა ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც მისი გუნდის წევრები ოპოზიციაში გადავიდნენ“, — აცხადებს ბაღათურია და დასძენს, რომ პრეზიდენტის ამ განცხადების მიუხედავად, არ მომხდარა ამ საქმის შესწავლა და არ გატარებულა სათანადო ღონისძიებები.

ბაღათურია დანაშაულად მიიჩნევს აგრეთვე პრეზიდენტის მიერ მისი ყოფილი თანაგუნდელებისადმი სახელმწიფო ქონების ჩუქების ფაქტს.

„აღნიშნული გარემოებები საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ პარლამენტი დაინტერესდეს პრეზიდენტის საქმიანობით და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებით“, — აცხადებს ბაღათურია და პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართავს, რომ პარლამენტმა მიიღოს გადაწყვეტილება დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც ობიექტურად გამოიძიებს პრეზიდენტის საქმიანობას და კომისიის დასკვნის დადების შემდეგ გამოჩნდება „სააკაშვილი რამდენად უნდა იყოს ქვეყნის სათავეში“.

## „არასოდეს გავხდები ჯიბის ოპოზიცია“

**პარლამენტის** საშემოდგომო სესიის პირველი პლენარული სხდომა დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებულების პირობით გათავისუფლების საკითხით გახსნა.



— ხელისუფლება ხშირად ოპოზიციას სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის პოლიტიზირებას საყვედურობს, თუმცა საქმე ისაა, რომ ამ დანაშაულის ჩადენაში, დაკავებულთა გასამართლების პროცესში, შემდგომში მათ შეწყალებასა და საბოლოოდ, ციხიდან გამოშვებაში ნახევარი ხელისუფლება იყო ჩართული. ამ ფონზე თქვენ გსურთ ოპოზიციამ პირში წყალი ჩაიგუბოს და თავზე ნაცარი დაიყაროს? არასოდეს გავხდები ჯიბის ოპოზიცია და ყოველთვის ავიმაღლებ ხმას უკანონო ქმედებებზე. ხალხი ყველაზე უზენაესია და ეს ადამიანებიც მკვლელების იარლიყებით ივლიან, — განაცხადა პარლამენტის დღევანდელ პლენარულ სხდომაზე ცაგარეიშვილმა.

ამასთან, დეპუტატი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრ დიმიტრი შაშკინს „ტყუილების ტირაჟირებაში“ ადანაშაულებს.

**ჯი-ეიჩ-ენი, „ექსპრესნიუსი“**

სტიქია

# მიწისძვრა საქართველოში

**8 სექტემბერს საქართველოში მიწისძვრა მოხდა. პირველი მიწისქვეშა ბიძგები 02.41 საათზე დაფიქსირდა, მეორედ ბიძგები 02:49 საათზე დაფიქსირდა.**

**მიწისძვრის ეპიცენტრი დასავლეთ საქართველოში ქუთაისიდან 80 კილომეტრში, ტყიბულიდან 39კმ-ში, ხოლო ამბროლაურიდან 16 კმ-ში დაფიქსირდა. მიწისძვრის სიძლიერემ რიხტერის შკალით 6.2 ბალი შეადგინა, განმეორებისას კი 5 ბალი.**

მიწისძვრამ რაჭაში ნგრევა გამოიწვია.

მიწისძვრამ ყველაზე მეტად ონის რაიონი დააზარალა. როგორც რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულმა დავით გაგოშიძემ განაცხადა, ძალიან ბევრი სახლი საცხოვრებლად უვარგისია.

— ძირითადი ზარალი არის ონში. საბედნიეროდ არ არის მსხვერპლი. ძალიან ბევრი შენობა საცხოვრებლად უვარგისია, — განაცხადა დავით გაგოშიძემ

მისივე თქმით, ადგილზე შექმნილია კომისია, რომელიც დეტალურად შეისწავლის მიყენებულ ზარალს.

რწმუნებული აცხადებს, რომ უახლოეს პერიოდში აღდგება ელექტროენერგიის მიწოდებაც.

რაც შეეხება გზებზე ჩამოწოლილ კლდოვან მასას, რამაც ტრანსპორტის გადაადგილება შეზღუდა, ამ მიმართულებითაც მუშაობა დაწყებულია.

— განსაკუთრებით დიდი მასა უწერა-შოვის გზაზე ჩამოწვა, ადგილზე მობილიზებულია შესაბამისი ტექნიკა, — განაცხადა დავით გაგოშიძემ.

მისივე თქმით, ადგილზე მობილიზებულია ყველა სახის სამსახური.



— ადგილზე იმყოფებიან სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები და ამ დროისთვის დამატებითი დამხმარე ძალების საჭიროება არ არსებობს, — განაცხადა გაგოშიძემ.

მიწისძვრას იმერეთის რეგიონში მსხვერპლი და მნიშვნელოვანი ზარალი არ მოჰყოლია. ამის შესახებ პრეზიდენტის რწმუნებულმა იმერეთის მხარეში მიხეილ ჩოგოვაძემ განაცხადა.

— რეგიონში მნიშვნელოვანი ზიანი არ ფიქსირდება. ძირითადად საჩხერესა და ჭიათურაში ჩამსხვრეულია მინები და დაზიანებულია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ნივთები. ზოგიერთ საცხოვრებელ სახლს დაუზიანდა აივანი, ხოლო ჭიათურის ერთერთ სოფელში დაიბზარა სახლის კედელი, — განაცხადა ჩოგოვაძემ.

მისივე თქმით, ადგილებზე შექმნილია შტაბები, რომლებიც კომისიურად სწავლობენ ზიანს.

— შტაბის წევრები ხვდებიან მოსახლეობას. დეტალურად დგინდება ზარალი. არავითარი გართულება ამ დროსათვის რეგიონში არ არის. მოსახლეობაში პანიკის ნიშნები არ შეინიშნება, — განაცხადა ჩოგოვაძემ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◉ თვალსაზრისი



*ამ ბოლო დროს, აგვისტოს ომის შემდეგ დაგეგმილი „სახალხო დიალოგის“ ფარგლებში რუსულ და ქართულ ეკლესიებს შორის კონტაქტები საგრძნობლად გააქტიურდა. უკვე გაიმართა სასულიერო დელეგაციების რამდენიმე შეხვედრა იმ ფონზე, როცა რუსული მხარე საქართველოს პოლიტიკურ ხელისუფლებასთან კონტაქტზე კატეგორიულ უარს აცხადებს. ორი ქვეყნის ეკლესიების მცდელობას, ურთიერთობები მოაწესრიგოს რუს და ქართველ ხალხებს შორის, შეიძლება, მხოლოდ მიესალმო, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულ პრესაში არაერთი საკმაოდ არასასიამოვნო მოსაზრება და ეჭვი გამოითქვა. ეჭვები გამოთქვეს ცალკეულმა თეოლოგებმაც, პოლიტოლოგების უდიდესი ნაწილი კი, მათ შორის უშუალოდ ქართული დელეგაციის წევრები ამ თემაზე საუბარს ერიდებიან. ამ და რიგ სხვა საკითხებზე „პირველი“ ესაუბრა ექსპერტს კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძეს.*

# „თუმც რუსები თავს აბსოლუტურად მართლად მიიჩნევენ, კონტაქტები მათთან მაინც საჭიროა“

**— ბატონო მამუკა, როგორ შეაფასებთ საქართველოსა და რუსეთის საპატრიარქოებს შორის სადღეისოდ არსებულ ურთიერთობას და კონტაქტებს?**

— ის, რაზეც ხმამაღლა არავინ ლაპარაკობს, მათ შორის არც ეკლესიები, აუცილებლად უნდა ითქვას, რადგან ეს მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი თემაა, რომელზეც საჭიროა, სათანადო ყურადღება გამახვილდება. საქმე ის არის, რომ დსთ-ის სივრცეში ორი მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიაა - ქართული და რუსული და ისინი ზოგ შემთხვევაში, ასე ვთქვათ, ერთმანეთის ინტერესებს ითვალისწინებენ. თუ ვინმეს ჰგონია, რომ რუსეთის საპატრიარქომ აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ეკლესიები იმიტომ არ აღიარა და არ შეიერთა, რომ საქართველოს ეკლესიას გაუწია ანგარიში, ცდება. საქმე ის არის, რომ საქართველოს ეკლესიას გარკვეული „კოზირი„ აქვს – საშუალება, სურვილის შემთხვევაში უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია აღიაროს და ამით რუსეთს უკრაინის ტერიტორიაზე მრევლის უზარმაზარი ნაწილი ჩამოაშოროს. საქართველოს ეკლესია ამას არ აკეთებს და რუსეთის საპატრიარქოც სანაცვლოდ იძულებულია, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ეკლესიების მიმართ განსაკუთრებული ნაბიჯების გადადგმისგან თავი შეიკავოს. რაც შეეხება დანარჩენს, საქართველოს საპატრიარქო და პირველ რიგში, პატრიარქი ეძებენ გზებს იმისთვის, რომ როგორმე ურთიერთობა დალაგდეს. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ ამ გზით რუსეთის მხრიდან საქართველოზე ზეწოლას შეამსუბუქებენ და რამდენად სწორია ეს მეთოდი, ჩემი განსასჯელი არ არის. პირადად მე ვთვლი, რომ მსგავს კონტაქტებს აქვს გარკვეული აზრი, ამიტომაც მომხრე ვარ როგორც ზოგადად სახალხო დიალოგის, ასევე მისი იმ ფორმების, რომელსაც საპატრიარქო ახორციელებს. რასაკვირველია, ამასთან დაკავშირებით მე ჩემი შეხედულებები მაქვს, მაგრამ რუსეთთან რაღაც ფორმით, ასე ვთქვათ, სამუშაო რეჟიმის შექმნა სახალხო დიპლომატიის კუთხით, ვფიქრობ, კარგია, ყოველ შემთხვევაში, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

**— საყურადღებოა, რომ ქართული სასულიერო დელეგაციის წევრები რუსეთში ვიზიტის ფარგლებში არა მარტო სასულიერო პირებს, არამედ პოლიტიკური ხელისუფლების წარმომადგენლებს, კერძოდ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს გრიგორი კარასინს შეხვდნენ. საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის ეს ფაქტი მიუღებელი და გაუგებარია. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ ქართული სასულიერო დელეგაციის მიერ რუსეთში გამართული შეხვედრების შესახებ?**

— არსებობენ ადამიანები, მათ შორის – საქართველოს ხელისუფლებაშიც, რომელთათვისაც რუსულ მხარესთან ნებისმიერი სახის მოლაპარაკებები მიუღებელია, ამ ტიპის მოსაზრებები ფართოდ არის გავრცელებული რუსეთის ხელისუფლებაშიც, მაგრამ ასევე არსებობენ ადამიანები, რომელთა აზრით, მოლაპარაკებების და შეხვედრების პროცესი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს, გარკვეული ფორმით მაინც. თუმცაღა, რა თქმა უნდა, გააჩნია, რა ფორმით და რა თემაზე გაიმართება მოლაპარაკებები. რაც შეეხება კონკრეტულ შეხვედრას კარასინთან, ამ შეხვედრაზე გამართული საუბრის შინაარსი ჩემთვის მხოლოდ ფრაგმენტულად არის ცნობილი. პირველ რიგში, საუბარი შეეხო ორი ქვეყნის ეკლესიებს შორის ურთიერთობებს და საქართველოს დაკარგული ტერიტორიების მომავალს. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, დელეგაციის ხელმძღვანელობას სურდა, გაეგო რუსეთის, ასე ვთქვათ, არაოფიციალური ხედვა იმის თაობაზე, თუ როგორ წარმოუდგენიათ კრემლში ამ ტერიტორიების ხვალინდელი დღე და რამდენად სწორად აფასებენ ისინი საქართველოსთან მიმართებაში გადადგმულ ნაბიჯებს. ჩემი ინფორმაციით, მიღებულია პასუხი, რომ რუსეთი თავს აბსოლუტურად მართლად თვლის, იმის მიუხედავად, რომ საკუთარი კონსტიტუცია დაარღვია. საკვირველი არაა ზოგიერთი ადამიანის სურვილი, რუსული მხარისგან მოისმინოს, მაგალითად, „ბოლომდე მართლები არ ვიყავითო“, თუმცა მე პირადადაც მქონია შეხვედრები რუს პოლიტიკოსებთან, ხელისუფლების საკმაოდ მაღალი რანგის წარმომადგენლებთან, მაგრამ სამწუხაროდ, მსგავსი ვერაფერი მოვისმინე. ისინი ყველანი ერთხმად თვლიან, რომ სწორი ნაბიჯი გადადგეს და რომ ეს პროცესი შეუქცევადია.

**— მინდა, დავაკონკრეტო, ბატონო მამუკა, ამ შეხვედრებთან დაკავშირებით ეჭვებს განსაკუთრებით ის ფართოდ ცნობილი ფაქტი იწვევს, რომ თავად რუსეთის პატრიარქი კირილე უშიშროების ყოფილი ოფიცერია. თქვენ რას იტყოდით ამასთან დაკავშირებით?**

— რა თქმა უნდა, ეკლესიაში უშიშროების წარმომადგენლების არსებობასთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟი გასაგებია, მაგრამ პირადად მე რამდენიმე წმინდანიც კი შემიძლია გავიხსენო, უშიშროების ოფიცერიც რომ იყო და სამხედრო პირიც. ვერ უარვყოფ, რომ რუსეთის ეკლესია კრემლის პოლიტიკის და თუ გნებავთ, პუტინის პოლიტიკის გავლენის ქვეშაა, – ეს ნამდვილად ასეა. თუმცა კირილე რუსული ეკლესიის პირველი პირია, ის არის პატრიარქი და გინდა თუ არა, თუ ვინმესთან უნდა გქონდეს ურთიერთობა, უნდა გქონდეს პატრიარქთან. იმის გამო, რომ ის ერთ დროს უშიშროების ოფიცერი იყო, საქართველოს ეკლესია მას ვერც გადააყენებს და ვერც უარს ეტყვის ურთიერთობაზე. თუ გინდა, ურთიერთობა შეინარჩუნო, ზოგიერთი ადამიანის წარსულზე თვალი უნდა დახუჭო, – სხვა გზა უბრალოდ არ არსებობს, – ეს სამწუხარო რეალობაა. მეც არ მომწონს ბევრი ვინმე, მაგრამ ზოგჯერ იძულებული ვარ, კიდევაც გავუღიმო, კიდევაც ჩამოვართვა ხელი და ლოყაზეც ვაკოცო, თუ საჭირო გახდა.

**— ბატონო მამუკა, გარკვეული კითხვები საქართველოს საპატრიარქოს დელეგაციის შემადგენლობის ირგვლივაც გაჩნდა. მაგალითად, საინტერესოა, რომ ერთადერთი საერო მოღვაწე ამ დელეგაციაში ზურაბ აბაშიძეა...**

— ზურაბ აბაშიძე საქართველოს საპატრიარქოს დელეგაციაში ორი მიზეზით მოხვდა: ის არის ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელი, მამამისი – ბატონი ირაკლი აბაშიძე თავის დროზე პატრიარქთან ძალიან ახლოს იყო; გარდა ამისა, ზურაბ აბაშიძე რუსეთში საქართველოს ყოფილი ელჩია და პირადად იცნობს ძალიან ბევრ იმ ადამიანს, ვინც დღეს რუსეთის ბედს განაგებს, მათ შორის – გრიგორი კარასინსაც. სხვათა შორის, ამ უკანასკნელს ის დიდი ხანია იცნობს და ეს პირველი შეხვედრა არ ყოფილა. ამასთან, პატრიარქთან არსებობს გარკვეული წრე ადამიანებისა, რომლებიც მასთან ხშირად თათბირობენ ხოლმე და პატრიარქს მათი აზრი აინტერესებს. მათ შორის არის ზურაბ აბაშიძეც.

იხ. 4 გვ.

◉ ინფორმაცია

## „ჩვენს ურთიერთობას ვერავითარი კონფლიქტი ვერ დაანგრევს“

**მოსკოვისა** და სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილი დარწმუნებულია რუსი და ქართველი ხალხების გამაერთიანებელი სულიერი ერთობის ურღვევობაში. ამის შესახებ რუსეთის პატრიარქმა ტრეტიაკოვის გალერეაში წმინდა ნიკოლოზის ტაძარში ქადაგებისას განაცხადა.

„ვერანაირმა კონფლიქტმა თვით ყველაზე მძაფრიც, ვერ შეძლო ეკლესიის ერთიანობის დანგრევა მათ შორის ერთიანობის, რომელიც რუსულ და ქართულ ეკლესიებს აკავშირებს“, – განაცხადა პატრიარქმა.



## გირგვლიანის მკვლელები მონასტერში ვერ მოხვდებიან

**საპარლამენტო** უმრავლესობა სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდებულებისთვის პატრიარქის მიერ კურთხევის მიცემის თაობაზე გავრცელებული ცრუ ინფორმაციის დამკვეთის ვინაობას არ ამხელს.

აღნიშნული პირის ვინაობის დასახელება პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე დეპუტატმა გიორგი ახვლედიანი მოითხოვა.

„ორი დღის წინ, სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდებულების გათავისუფლების დანაშაულს კიდევ ერთი დანაშაული დაემატა. გაგვეცით პასუხი, ვინ არის დამნაშავე ამ დანაშაულში და იქნებ თქვენ მაინც იცოდეთ, ვინ მიაწოდა ნაციონალურ ტელეკომპანიებს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თურმე საქართველოს პატრიარქ ილია მეორეს დამნაშავეები კურთხევით მონასტერში გაუგზავნია, რაც საპატრიარქოს პრესცენტრმა კატეგორიულად უარყო“, – განაცხადა ახვლედიანმა.

ახვლედიანის მოთხოვნას უმრავლესობიდან არავინ გამოეხმაურა.

„ექსპრესნიუსი“ და ჯი-ეიჩ-ენი

◉ ტარიფი

# შეწყდეს ხალხის მოტყუება და „ძარცვა“

**რამდენიმე** დღის წინათ ენერგეტიკის მინისტრმა განცხადება გააკეთა, რომ მან კომპანია „სოკარი“ დაიყოლია დამატებითი გაზის მოწოდებაზე და საკუთარ გამარჯვებად გამოაცხადა ის, რომ აბონენტები, რომლებიც 1 $м^3$ გაზის მოხმარებისთვის იხდიდნენ 70 თეთრს, 1 სექტემბრიდან 50 თეთრს გადაიხდიან.

ამ განცხადებასთან დაკავშირებით გუშინ ლეიბორისტული პარტიის ოფისში ბრიფინგი გაიმართა, როგორც ლეიბორისტული პარტიის იურიდიული სამსახურის უფროსმა მარი ცუცქირიძემ განმარტა, სინამდვილეში ეს განცხადება ამ მდგომარეობის და, კერძოდ, ენერგეტიკის სამინისტროს მორიგი ტყუილი და უბიძო პიარია, რადგან აღნიშნული პრობლემა ლეიბორისტული პარტიის ჩარევის შედეგად მოგვარდა და ჯერ კიდევ თებერვალში, როდესაც მათ ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ შეიტანეს კონსტიტუციური სარჩელი და ითხოვეს 75-თეთრიანი ტარიფის გაუქმება და მოსახლეობის მიერ უკანონოდ გადახდილი თანხების უკან დაბრუნება. პარტიამ თებერვალში აიძულა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ მიეღო ახალი ბრძანება, რომლითაც 27 თებერვლიდან ყველა ფიზიკური პირი 75 თეთრის ნაცვლად 50 თეთრს გადაიხდიდა.

რაც შეეხება ბრძანებას, ნათლად სჩანს, რომ: „სემეკის 2008 წლის 1 აგვისტოს №17 დადგენილების თანახმად, ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობა გამიჯნულია დარეგულირებულად. 2008 წლის 1 აგვისტომდე არსებული ბუნებრივი გაზის მომხმარებელი ფიზიკური პირებისათვის გაზის სამომხმარებლო ტარიფი დადგენილია სემეკის მიერ და უდრის 0,506 ლარს, ხოლო რაც შეეხება იმ ფიზიკურ პირებს, რომლებიც 2008 წლის 1 აგვისტომდე არ იყვნენ ბუნებრივი აირის მომხმარებლები, მათ მიმართ გაზის მიწოდება დარეგულირებულია და შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გასაყიდი ბუნებრივი გაზის საფასური დადგენილია 0,750 ლარის ოდენობით. 2009 წლის 27 თებერვლის №28-ე ბრძანების თანახმად, იმ ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც საზოგადოების მონაცემთა ბაზაში აბონენტებად არიან დარეგისტრირებულნი 2008 წლის 1 აგვისტოს შემდეგ, მაგრამ წარმოადგენენ ბუნებრივი გაზის განაწილების სხვა ლიცენზიანტების აბონენტებს 2008 წლის 1 აგვისტომდე არ მოიხმარდნენ გაზს სამეწარმეო საქმიანობისთვის, ტარიფი უდრის 0,506 ლარს“.

როგორც მარი ცუცქირიძემ განმარტა, ეს ბრძანება არ შესრულებულა. ლეიბორისტული პარტია მიმართავს ენერგეტიკის სამინისტროს: თავი დაანებონ ხალხის მოტყუებას და „ძარცვას“ და დაუყოვნებლივ მოახდინონ აბონენტების მიერ ზედმეტად, უკანონოდ გადახდილი ყოველ კუბურ მეტრზე 25 თეთრის გადაანგარიშება, რაც საკამოდ სოლიდურ თანხას შეადგენს, ხოლო ზედმეტად გადახდილი თანხა ჩაითვლება წინასწარ გადახდილად. წინააღმდეგ შემთხვევაში ლეიბორისტები დაუყოვნებლივ საკონსტიტუციო სასამართლოში გააგრძელებენ.

ხატია მუსერიძე

## თვალსაზრისი

(მესამე გვერდიდან)

რაც შეეხება ქართული დელეგაციის შემადგენლობის სხვა ასპექტებს, კერძოდ, იმას, თუ ვინ და რა ტრიალებს საქართველოს საპატრიარქოს შიგნით, მე ყველაფერს არ შევაფასებ, მაგრამ როგორც ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმს, ალბათ, ჩვენი საპატრიარქოს სისტემასაც აქვს საკუთარი პლიუსებიც და მინუსებიც. თუ საპატრიარქოს არ სურს ამაზე საუბარი, ჩვენ მას ვერ ვაიძულებთ. საპატრიარქო საერთოდ ავტონომიური და ჩაკეტილი სისტემაა, - ოდითგანვე ასე იყო. თავისი სტრუქტურიდან და შინაარსიდან გამომდინარე, ის გახსნილი ვერ იქნება. შეგვიძლია, პარალელი გავავლოთ რომის ეკლესიასთან, რომლის სათაო ოფისი იტალიის ცენტრში - ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთ აკვანში და თითქოსდა ისეთი ტიპის ქვეყანაში მდებარეობს, რომ გამჭვირვალე უნდა იყოს, მაგრამ რამდენი სკანდალი გვსმენია რომის ეკლესიის თაობაზე და რაოდენ დაფარულია იგი?! არის სხვა ტიპის ეკლესიებიც, მაგალითად, ლუთერანული, რომელიც ბევრად უფრო ღიაა. აქ სულ სხვა სისტემასთან გვაქვს საქმე. რაც შეეხება ქართულ ეკლესიას, ჩაკეტილობა მისი სისტემიდან გამომდინარეობს და იდუმალება მისი თვისებაა, რომელიც, სხვათა შორის, გარკვეულ ხიბლსაც ჰმატებს: წარმოიდგინეთ, რომ ეკლესიაში მიმდინარე პროცესები ყოველდღიური გარჩევის საგანი იყოს!

**— დიახ, მაგრამ ისეთ რელიგიურ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ყოველგვარი ეჭვი და თუნდაც ჭორი ამ ჩაკეტილობის ფონზე დიდ აჟიოტაჟს იწვევს...**

— მესმის, რასაც გულისხმობთ, მაგრამ მოდით, ჯერ იმაში გავერკვეთ, ვართ თუ არა რეალურად რელიგიური ქვეყანა. პირადად ჩემი აზრით, ჩვენ არა რელიგიური, არამედ ტრადიციული ქვეყანა ვართ, რაც თვისობრივად სულ სხვა რამაა. ჩვენთვის მართლმადიდებლური სარწმუნოება და ქართული ეკლესია უმნიშვნელოვანესი ტრადიციაა. როცა „რელიგიურს„ ვამბობთ, უნდა ვილაპარაკოთ ძალიან ვიწრო წრეზე იმ ადამიანებისა, რომლებიც საეკლესიო ცხოვრებით ცხოვრობენ, რომელთათვისაც ეკლესიას ცხოვრებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და იმ პრინციპებითა და წესით ცხოვრობენ, რომელსაც ეკლესია ქადაგებს. ხოლო როცა ადამიანი ეკლესიაში ტრადიციისთვის დადის, სანთელს ანთებს და პირჯვარს იწერს, მხოლოდ ამ მონაცემებით მის რელიგიურობაზე ვერ ვისაუბრებთ. ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი კი სწორედ ასეთია — ტრადიციული და არა რელიგიური. სწორედ ეს ტრადიციულობა განსაზღვრავს საზოგადოების განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ეკლესიის მიმართ. აქვე უნდა ითქვას, რომ არსებობს კიდევ პირადი ინტერესი და პირადი ხიბლი, რომელიც საქართველოს ამჟამინდელ პატრიარქს ილია მეორეს გააჩნია. მის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება და ძალიან დიდი პატივისცემა არსებობს. საქართველოს ეკლესიაში ყოფილან პატრიარქები, რომლებიც ასეთ განსაკუთრებულ პატივისცემას არ იმსახურებდნენ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მათ მიმართ მაინც მოწიწებული და მოკრძალებული დამოკიდებულება არსებობდა.

**— გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთისა და საქართველოს პატრიარქებს შორის ახლო მომავალში შეხვედრა იგეგმება. შეხვედრის ადგილი და დრო ამ დრომდე გაურკვეველი რჩება. წინასწარი ინფორმაციით, შეხვედრა სოჭში, სოხუმში ან ვლადიკავკაზში დაინიშნება. რას ფიქრობთ ამ შეხვედრაზე და რა საკითხებზე შეიძლება, ისაუბრონ პატრიარქებმა?**

— ეს შეხვედრა ჩაიშალა. რატომ ჩაიშალა ვერ გეტყვით, მე მგონია, რომ გარკვეული იმპულსი ამისა რუსეთის მხრიდან იყო, თორემ საქართველოს საპატრიარქო შეხვედრას ნამდვილად არ ჩაშლიდა. მოკლედ, ჩაშლის მიზეზი არ ვიცი, თუმცა ის ნამდვილად შემიძლია, ვთქვა, რომ არავითარ სოჭზე და სოხუმზე საუბარიც არ ყოფილა, განიხილებოდა ორი შეხვედრის შესაძლებლობა ვლადიკავკაზში და ყაზბეგში.

**— მაგრამ რამდენიმე დღის წინათ პატრიარქის მდივანს, მამა მიქაელ ბოტკოველს ვესაუბრეთ და გვითხრა, რომ ყაზბეგზე საუბარი არ ყოფილა...**

— მამა მიქაელს თავისი პოზიცია აქვს, მაგრამ მე ვიცი, რომ უნდა გამართულიყო ორი შეხვედრა: ერთი — ვლადიკავკაზში, მეორე — ყაზბეგში. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ასე უნდა ყოფილიყო და მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. შეხვედრა უნდა გამართულიყო უახლოეს დღეებში. რაც შეეხება ჩაშლას, მე მაინც მგონია, რომ ეს რუსეთის საპატრიარქოს ინიციატივით მოხდა. ალბათ, სხვა დრო არჩიეს ამ შეხვედრისთვის. მე უკვე გითხარით კიდევაც, რომ რუსეთის საპატრიარქო ბევრად უფრო დამოკიდებულია კრემლზე, ვიდრე ჩვენი საპატრიარქო - ჩვენს პოლიტიკურ ხელისუფლებაზე. თუმცა იმასაც გეტყვით, რომ რამდენადაც ვიცი, საქართველოს პატრიარქი საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში ხელისუფლებას ყოველთვის საქმის კურსში აყენებს და მიმაჩნია, რომ ეს აბსოლუტურად სწორია.

## „თუმც რუსები თავს აბსოლუტურად მართლად მიიჩნევენ, კონტაქტები მათთან მაინც საჭიროა“

ახლა ის, თუ რაზე შეიძლებოდა, ყოფილიყო საუბარი. საქმე ის არის, რომ ხშირ შემთხვევაში საჭიროა კონტაქტი ურთიერთობის შესანარჩუნებლად, ანუ, ეს პირველ რიგში, იქნებოდა შეხვედრა კონტაქტის შენარჩუნებისთვის. თუმცა ასევე არ არის გამორიცხული, რომ ყოფილიყო სხვა იდეები, რომელიც დაკავშირებულია კავკასიის ხვალინდელ დღესთან. თქვენ გახსოვთ ბრაიზასთან საუბარში პატრიარქმა განაცხადა მშვიდობიანი კავკასიის იდეის რეანიმაციის თაობაზე და არ არის გამორიცხული, ამ შეხვედრაზეც ამ თემაზეც ყოფილიყო საუბარი. მით უმეტეს, რომ რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, მოსკოვში პატრიარქის ვიზიტის დროს მართალია, ზოგადად, მაგრამ საუბარი ამ თემასაც შეეხო.

**— ბოლოს სამონასტრო კომპლექსზეც მინდა, გკითხოთ, რომელიც დარიალის ხეობაში 2003 წლიდან შენდება. როგორც ჩვენთან ინტერვიუში მამა ბასილ კობახიძემ განაცხადა, ეს კომპლექსი რუსეთის საპატრიარქოს ინიციატივით, კრემლის შეკვეთით, რუსებისა და ქართველების სულიერი სიახლოვის იდეის გაძლიერების მიზნით, საეჭვო ფინანსებით შენდება. თუ ფლობთ რაიმე ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, ვინ აშენებს მას, ვისი ინიციატივით და ვის ეკუთვნის ეს კომპლექსი?**

— რაც შეეხება სამონასტრო კომპლექსის მშენებლობას, ამაზე ბევრს ვერაფერს გეტყვით. რამდენადაც ვიცი, შენდება მამათა მონასტერი ქართველებისთვის. ვიცი ასევე, რომ ფინანსურად იდეის ავტორებს ბიზნესმენი ლევან ვასაძე ეხმარება — ნაწილობრივ, მაგრამ მოზიდულია სხვა სახსრებიც. სულ ეს არის, რაც შემიძლია, გითხრათ.

**მირანდა შურღაია**

## ერიჯა!

# ნაცებს რომ ჰკითხო, კუბლაშვილს უნდა დავუჯეროთ და არა პატრიარქს!

## ამათ უკვე ეკლესიაც თავიანთი კანტორა ჰგონიათ!

**რომელი ერთი ვთქვა, საიდან დავიწყო?..**

ჯერ იყო და, რუსი ჟურნალისტები არ შემოუშვეს საქართველოში იმ მოტივით, რომ მაქსიმ შევჩენკო და იური მამონტოვი საქართველოს მიმართ ტენდენციურები, არაობიექტურები არიანო.

თავი დავანებოთ იმას, რომ ამას „პირუთვნელობითა“ და „ობიექტურობით“ განთქმული სამივე „რუსთავი-2“ ამბობს. დავეთანხმოთ იმა-



საც, რომ ეს ჟურნალისტები მართლაც არ გამოირჩევიან საქართველოს სიყვარულით, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ამით ელემენტარული სტუმარ-მასპინძლობის წესი დავარღვიეთ.

„დღეს სტუმარია ის ჩემი“... დაგვავიწყდა დიდ წინაპართა ნაწერ-ნათქვამი?

განა რა ზიანი უნდა მიეყენებინათ ისეთი უზრალოდ სასაუბროდ ჩამოსულ ადამიანებს? ილაპარაკებდნენ, ბომბების სროლას ხომ არ დაიწყებდნენ? თუმცა სამიდან ერთს ალბათ ობიექტურს და არატენდენციურს, მაინც მისცეს საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის უფლება, რომელმაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საზოგადოებრივი კონტროლის ეგიდით, მაინც ჩაატარა ყველა დაგეგმილი შეხვედრა: ვიცე-სპიკერ რუსუდან კერვალიშვილთან, ნინო ბურჯანაძესთან, ლევან გაჩეჩილაძესთან, გაზეთების რედაქტორებთან და, რაც ყველაზე მთავარი და მიულებელი იყო ნაცისტებისთვის, საპატრიარქოში.

კათოლიკოს-პატრიარქთან, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები გააფრთხილეს (თუ დაემუქრნენ,) „იმეილის“ ეთერით — ერთმორწმუნეობის გამო, სახიფათო თამაშებში არ ჩაგითრიონო!!!

მერე იყო და, სანდრო გირგვლიანის მკვლელები ე. წ. „უღოთი“ ვადაზე ადრე გაანთავისუფლეს, რასაც გაზაფხულ-ზაფხულის საპროტესტო აქციების შემდეგ აშკარად მოფერებულნი ხელისუფლების მიმართ საზოგადოების პროტესტი მოჰყვა.

და ისევ საპატრიარქო — გავრცელდა ინფორმაცია, რომ განთავისუფლებული მკვლელები ილია II-მ მიიღო, რაშიც არაფერია უჩვეულო და მიუღებელი. კათოლიკოს-პატრიარქი ყველა ცოდვილის პატრიარქია, რომელმაც ყოფილ პატიმრებს ლოცვა-კურთხევა მისცა მათი ერთი წლით მონასტერში განწესების შესახებ, მაგრამ 7 სექტემბერს „კავკასიამ“ გადმოსცა — მას შემდეგ რაც ნინო ბურჯანაძე ერთი საათის განმავლობაში ესაუბრა ილია მეორეს, საპატრიარქომ სპეციალური განცხადება გააკეთა: „უღოთი“ განთავისუფლებულ პატიმრების საქმესთან საპატრიარქოს არანაირი შეხება არა აქვსო (???).

ერთი რამ ცხადზე უცხადესია — თუ ვინმე ცდილობს საპატრიარქოს თემით სპეკულირებას, ეს ხელისუფლებაა. ამა თუ იმ სახით, პირადად ილია II დისკრედიტირების მცდელობაც აშკარაა.

მაგრამ ეს ყველაფერი, როგორც იტყვიან, ჯერ ჟურნალია და კინო წინ გველოდება. ანუ, მაშინ, თუ რუსეთის პატრიარქის საქართველოში დაგეგმილი ვიზიტი შედგება. აბა მაშინ ნახეთ ხელისუფლებაში მყოფი „ხლისტების“ ვაი-ვიში, ერთმორწმუნეობის გამო საპატრიარქოს, პირადად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის „სახიფათო თამაშების“ შესახებ.

ჩვენს ამწიოკებელ რუსეთთან არანაირი ოფიციალური, სახელმწიფოებრივი კონტაქტები არა გვაქვს. რუსეთთან, რომელიც არსად წასვლას არ აპირებს და ხვალაც და ზეგაც, ჩვენი გეოგრაფიული მეზობელი იქნება. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ერთად ერთი საფუძველი დიახაც კულტურა და ერთმორწმუნეობაა, რაზედაც უარის თქმა, მით უმეტეს ურაპატრიოტული მოტივებით, მიუტევებელი, დამღუპველი შეცდომა იქნება.

**დავით მხეიძე**

## ინფორმაცია თემაში

### საპატრიარქო აცხადებს, რომ ბოლო დროს მიზანმიმართული ანტიეკლესიური საინფორმაციო კამპანია დაიწყო

**საპატრიარქოს პრესსამსახურის უფროსი დავით შარაშენიძე აცხადებს, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებულებისთვის მონასტერში წასვლის კურთხევა არ მიუცია.**

**შარაშენიძის განცხადებით, კათოლიკოს-პატრიარქს არც სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებულების ვადამდე გათავისუფლებასთან აქვს რაიმე კავშირი.**

**— როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ბოლო დროს ზოგიერთ ინტერნეტ- და საგაზეთო გამოცემაში დაიწყო მიზანმიმართული ანტიეკლესიური საინფორმაციო კამპანია. გუშინაც გავრცელდა არასწორი ინფორმაცია პატრიარქის კურთხევით მონასტერში ალექსანდრე გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებულების გაგზავნასთან დაკავშირებით. ამ მორიგმა დეზინფორმაციამ საზოგადოებაში შეშფოთება გამოიწვია. უნდა განვაცხადოთ, რომ კათოლიკოს-პატრიარქს არც მათ ვადამდე გათავისუფლებასთან აქვს რაიმე კავშირი და არც რომელიმე მონასტერში ისინი არ გაუგზავნია, — განაცხადა შარაშენიძემ.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ინფორმაცია

# ახალი თხილის გადამამუშავებელი ქარხანა

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაშისღელეში ახალი თხილის გადამამუშავებელი ქარხანა გაიხსნა და ნედლეულის მიღება უკვე დაიწყო.**

**ამის შესახებ სამხარეო ადმინისტრაციიდან იტყობინებიან. ქარხანა თანამედროვე ტიპის სტანდარტებით არის**




**აღჭურვილი, რომლის მეშვეობით თხილის გადამუშავება ადგილზე ხდება.**

**სექტემბრის ბოლოსთვის საწარმოში ასამდე ადგილობრივი მოსახლე დასაქმდება, პროდუქციის რეალიზება კი ჩეხეთში, სლოვაკეთსა და იტალიაში იგეგმება.**

„ექსპრესნიუსი“

თემა



***აფხაზი სეპარატისტებისა და კრემლის მორიგი მუქარისშემცველი განცხადებების შემდეგ, რომელიც „ქართველი მეკობრეების გემების ჩაძირვას“ ეხებოდა, ქართულ საზოგადოებაში კვლავ გაჩნდა ავი მოლოდინი, რომელიც საომარი მოქმედებების ამჯერად საზღვაო აკვატორიაში განახლებას უკავშირდება. შესაძლო საფრთხეებზე „პირველი“ უსაფრთხოების პოლიტიკის ექსპერტს ირაკლი სესიაშვილს ესაუბრა.***

# „საზღვაო აკვატორიაში ვითარების დაძაბვასთან დაკავშირებით თურქეთზე ზეწოლა უნდა განვახორციელოთ“



**— ბატონო ირაკლი, როგორ შეაფასებთ სეპარატისტული რეჟიმის ლიდერის სერგეი ბაღაფშის ბრძანებას „ქართული გემების ჩაძირვის“ თაობაზე და რამდენად რეალური და საშიშია შეტაკება საზღვაო აკვატორიაში?**

— აფხაზებს სურთ, საკუთარი ეკონომიკის განვითარების მიზნით სავაჭრო კავშირები რუსეთის გარდა, სხვა ქვეყნებთანაც ჰქონდეთ, რაც მათ ფაქტობრივად საერთაშორისო ასპარეზზე გაიყვანს. რაც შეეხება კრემლს, კრემლისთვის მორიგი დაპირისპირება კიდევ ერთი საპროვოკაციო კერის შექმნისა და დასავლეთზე ზეწოლის საშუალებაა. თუკი კრემლი მიზნების მიღწევას პოლიტიკური გზებით ვერ ახერხებს, ის სამხედრო ძალის მუქარას იყენებს, რასაც სამწუხაროდ, შედეგებიც მოაქვს ხოლმე.

**— თქვენ ახსენეთ, რომ რუსეთი მსგავს პროვოკაციებს დასავლეთზე ზეწოლისთვის იყენებს, რას გულისხმობთ კონკრეტულად?**

— ვფიქრობ, საერთო ჯამში ყოველივე ეს იმას ემსახურება, რომ პოლიტიკური ზეწოლა განსაკუთრებით დასავლეთზე განხორციელდეს, რომლისთვისაც ჩვენი ქვეყნის საზღვაო აკვატორია და განსაკუთრებით ფოთის საერთაშორისო ნავსადგური სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ აშშ-მა ომის პირველივე დღეებიდან დაიცვა ჩვენი საზღვაო აკვატორია საკუთარი სამხედრო გემების მანევრებით და თავის თავზე აიღო კერძო გემების დაზღვევა.

**— დასავლეთმა რა უნდა მოიმოქმედოს იმისათვის, რომ აღნიშნული საფრთხე თავიდან იქნეს აცილებული?**

— ასეთ ვითარებაში დასავლეთი სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას. თუკი დასავლეთი დაუშვებს გემების მოძრაობას აფხაზეთის მიმართულებით, ამით შეილახება არა მარტო საქართველოს ინტერესები, არამედ საერთაშორისო სამართალიც, ხოლო თუკი მხარს დაუჭერს საქართველოს პოლიტიკას, მაშინ შეიძლება, რისკის ქვეშ დადგეს ეს სატრანსპორტო დერეფანი, რამდენადაც რამდენიმე პროვოკაციის შემთხვევაში შეიძლება, კერძო კომპანიებმა უარი განაცხადონ ამ მაგისტრალით სარგებლობაზე.

**— საქართველოს ხელისუფლებას რას ურჩევდით შექმნილ მდგომარეობაში?**

— ჩვენი მთავარი ამოცანა უნდა იყოს აფხაზეთის მიმართულებით უცხო ქვეყნის გემების მოძრაობის აღკვეთა. ეს შეიძლება, გაკეთდეს უშუალოდ გემების დაკავებით, თუმცა ამას თან ახლავს რისკები, კერძოდ, რისკი იმისა, რომ მოხდეს შეტაკება ქართულ და რუსულ ან აფხაზურ საზღვაო ძალებს შორის, რაც შესაძლოა, მორიგ ესკალაციაში გადაიზარდოს. ამიტომ თუ ჩვენ გვინდა, მსგავსი ექსცესები თავიდან ავიცილოთ, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება: როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ძირითადად აფხაზეთის მიმართულებით თურქული გემები გადაადგილდებიან. შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია, შეთანხმებას მივაღწიოთ თურქეთთან და ამ საქმეში მხარში ამოგვიდგება როგორც ევროკავშირი, ასევე აშშ. თურქეთის ინფორმირებით უნდა გავატაროთ შესაბამისი ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი სანქციები საზღვრის დამრღვევთა წინააღმდეგ, ანუ, ჩვენ შეგვიძლია, მხოლოდ დაკვირვება ვაწარმოოთ იმაზე, თუ რა გემები გადაადგილდებიან აფხაზეთის მიმართულებით და შესაბამისი ცნობები მივაწოდოთ იმ ქვეყნებს, რომელთა დროშის ქვეშ გადაადგილდებიან ეს მცურავი საშუალებები. ამით ჩვენ თავიდან ავიცილებთ უშუალო დაპირისპირებას, თუმცა პრევენციულად ვიმოქმედებთ დამრღვევთა წინააღმდეგ.

**— მიუხედავად იმისა, რომ ქართულ მხარეს არაერთხელ გაუპროტესტებია თურქული გემების შესვლა აფხაზეთში, ეს პროცესი დღემდე გრძელდება. როგორ შეიძლება, შეფასდეს თურქული ხელისუფლების პასიურობა აღნიშნულთან დაკავშირებით?**

— თუ წინა შემთხვევებში თურქეთს მხოლოდ ჩვენ ვთხოვდით თანამშრომლობას, ბაღაფშისა და კრემლის მუქარის შემდეგ ამ საკითხმა უკვე საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა, — აი, ეს არის განსხვავება. შექმნილ ფეთქებადსაშიშ სიტუაციაში სრულიად შესაძლებლად მიმაჩნია აშშ-ისა და ევროკავშირის დახმარებით თურქულ მხარეზე „ზეწოლა“ და ამ საკითხის მიმართ თურქეთისგან პოზიტიური მოქმედებების მიღება.

**ლევან ჭითანავა**

ვაი უთავოზისგან!

# ბრაზილია ვართ, რაღა!..

## ანუ დასავლური „ცივილიზაციის“ შუქ-ჩრდილები

**„საქართველოში მოზარდების წიგნიერება, მსოფლიოში ბოლოდან მე-8 ადგილზეა. გააგრძელე კითხვა და დარწმუნდი, რომ ცხოვრება მშვენიერია“.**

ეს ფრაზა არც ოპოზიციის საინფორმაციო მიტინგზე მომისმენია და არც რუსულ ინტერნეტ-საიტზე წამიკითხავს.

ამ „სარეკლამო რგოლს“ საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელზე ატრიალებენ გადაცემაში „ცხოვრება მშვენიერია“.

გესმით, ხალხო, რა ხდება?

საქართველოში მოზარდების წიგნიერება, მსოფლიოში ბოლოდან მე-8 ადგილზეა.

ახლა რასაც ამ ხელისუფლებაზე, განათლების რეფორმასა და დასავლური ცივილიზაციით გაჟღენთილ ხალხზე ვფიქრობთ, ისე რომ დავწერო, ნამდვილად არ მეკადრება (ალბათ ხვდებით რატომაცძ, ამიტომ უბრალოდ მინდა დავსვა ერთი მარტივი კითხვა?

— როგორ ხართ, ჯიგრებო?

— კარგად? სხედხართ ტელევიზიორებთან და ტკბებით სერიალებით?

ჩემო ძვირფასო მკითხველო, ერთი წუთითაც არ იფიქრო, რომ იმ სისულელეების განხილვა დავიწყო, რასაც „კურიერებს“ შუა აჩვენებენ ე. წ. „დამოუკიდებელი“ ტელეარხები.

უბრალოდ, იმ ხალხს, ვინც ამ „მოსაზრებაზეა მიჯაჭვული“, მინდა ვთხოვო, რომ ერთი წამით დაივიწყოს ჩემს მიმართ აღძრული მრისხანება და როგორც „სიკვდილმისჯილს“, ბოლო სიტყვის უფლება მომცეს.

იცით, რა მინდა გთხოვოთ?

თქვენი შვილები, ახლობლები, საყვარელი ადამიანები ისე რომ მოიქცნენ, როგორც ის „სათაყვანო გმირები“ იქცევიან, რას იზამდით? რა, ძალიან მოგწონთ მარისელამ დედამისს რომ „აახია“ ტიპი?, მოგწონთ შვილების მიერ დედისთვის ნათქვამი ფრაზა მამა ცუდია და ბიძას გაყევი ცოლადო?

მოგწონთ ეს პორნოგრაფია და ყოველ საღამოს „სუნთქვაშეკრულნი“ ელოდებით?

ეს ხომ პორნოგრაფიის ყველაზე საშინელი ფორმაა.

უსინდისო ვიყო, თუ „ემანუელა“ ან გერმანული „ია, ია, ალეს გუტ“ არ სჯობდეს იმ სანტოსს, რომელიც დედასთან და შვილთან (რომელიც ამავე დროს მისი ბიძაშვილიცააძ ერთად წევს?

თუმცა ამის თავი უნდა გვქონდეს, როცა საქართველოში თურმე მოზარდების წიგნიერება, ბოლოდან მე-8 ადგილზეა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით?

რა იქნება ხვალ?

რა იქნება და „ჰომოსეკების პარადი“, სანტოსების, მარისელების, ბლანკოს ქვრივების, ინცესტის, გონებრივი და მორალური დავარდნის (სწორადაც რომ, დავარდნის და არა დაცემისძ ზეიმი!

ტოლსტოის, ჰემინგუეის, ვაჟას, ილიას, აკაკის, ჭაბუას კითხვის ნაცვლად ვუყუროთ სიძეების, ბიძაშვილ-მამიდაშვილების ამორალურ საქციელს, ვღვაროთ ცრემლები, მაგრამ მერე არ გაგვიკვირდეს, თუ მსგავს რამეს სადმე უფრო ახლოს ვნახავთ!..

ისე, რა მაგის პასუხია და, სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილისა არ იყოს, ნალბანდიანი ყოფილა.

ბრაზილიაა, რაღა!

**გია გაბრიჭიძე.**

შეხვედრა

# როგორი უნდა იყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკა

**პოლიტიკურად აქტიური სეზონის დადგომასთან ერთად (მოგეხსენებათ, ზაფხულში ყველა საჭიროებს დასვენებას და, რა თქმა უნდა, პოლიტიკოსებიც) ოპოზიციური პარტიების მესვეურებიც გამოცოცხლდნენ. ისინი საზოგადოებას აცნობენ თავიანთ სამოქმედო პროგრამებს, მართავენ მრგვალ მაგიდებს და მომავალი ბრძოლებისთვისაც ემზადებიან. როგორც ჩანს, ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერი მიხვდა, რომ ამდენი შეხლა-შემოხლის შემდეგ ხალხი ცარიელ დაპირებებს ველარ დასჯერდება და მათ უფრო კონკრეტული ამოცანების დაყენებას მოსთხოვს. ამჯერად, სამოქმედო პროგრამა მოძრაობამ „სამართლიანი საქართველოსთვის“ წარმოადგინა, რომელსაც ეტაპობრივად გააცნობს საზოგადოებას. პროგრამის საერთო სახელწოდებაა: „საქართველო ხვალ“. გუშინ სასტუმრო „თორში“ ამ ინიციატივის ფარგლებში პირველი კონფერენცია გაიმართა თემაზე: „როგორი უნდა იყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკა“. კონფერენციაში მონაწილეობდნენ მოძრაობის ლიდერები, რეგიონალური ოფისების წარმომადგენლები, საქართველოში ცნობილი ექსპერტები და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. ექსპერტებმა დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით საგარეო ურთიერთობებში მოსალოდნელი ვითარება შეაფასეს, ხოლო მოძრაობამ „ერთიანი საქართველოსთვის“ თავისი პოლიტიკური მიდგომები წარმოადგინა.**

**არჩილ გეგეშიძე, ექსპერტი: — საგარეო პოლიტიკის კურსი უპირველეს ყოვლისა, მაქსიმალურად უნდა უპასუხებდეს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს. რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ მომავალში ისეთი ურთიერთობა შევინარჩუნოთ რუსეთთან, როგორიც დღეს გვაქვს, რადგან გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენი პრობლემების მოგვარება, სამწუხაროდ მნიშვნელოვნად არის მასზე დამოკიდებული.**

**რამაზ კლიმიაშვილი, ექსპერტი: — აგვისტოს ომის შემდეგ ჩვენს რეგიონში ყველაფერი თავდაყირა დადგა. ჩვენი თითოეული მეზობელი უკვე თავის თამაშს თამაშობს და საგარეო კურსიც შეცვალეს. ამიტომ ჩვენ უნდა გადავხედოთ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს, ცვლილებები შევიტანოთ მასში, რათა არ მოვექცეთ იზოლაციაში.**

**მამუკა არეშიძე, ექსპერტი: — საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩრდილოეთ კავკასიის საკითხი. სწორედ, ამიტომ ძალიან ცუდია, როცა ხელისუფლებას არ აქვს და არც ჰქონია ჩამოყალიბებული საგარეო პოლიტიკა ამ რეგიონის მიმართ. რაც მთავარია, ქვეყანას სჭირდება სამეზობლო პოლიტიკის მკაფიო პრინციპები, რომლის მიხედვითაც საგარეო პოლიტიკა უნდა წარიმართოს.**

**გია ნოდია, ექსპერტი: — ვერ დავეთანხმები იმ აზრს, რომ რეგიონში აგვისტოს ომის შემდეგ ჩვენმა მეზობლებმა მნიშვნელოვნად შეცვალეს თავიანთი საგარეო პოლიტიკური კურსი, მართალია, ყველაფერი ძველებურად აღარ არის, მაგრამ ჯერჯერობით საქართველოს იზოლაციის საფრთხე არ ემუქრება. რაც შეეხება ნაბუქოს, თუნდაც ის არის გარანტი, რომ ჩვენი ქვეყანა რეგიონში ისევ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს.**

**ზურაბ ნოღაიდელი, „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“: — ჩვენი პარტიისთვის საგარეო პოლიტიკა მნიშვნელოვანია. დღევანდელი შეხვედრა იმას ემსახურება, რომ მოგვესმინა ექსპერტების აზრი ამ თემასთან დაკავშირებით. ერთის თქმა კი ნამდვილად შემიძლია, საგარეო პოლიტიკა ისეთი უნდა იყოს, რომ არ ეწინააღმდეგებოდეს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს.**

**ანა წიწილაშვილი**

№ 178. ოთხშაბათი, 9 სექტემბერი, 2009 წელი.

## კერძო აზრი

# ისევ გამარჯვების მისაღწევ გზებზე

**„გაჭეჭილს გატეხილი სჯობიაო“, ნათქვამია და ჩვენც ვთქვათ პირდაპირ: ამ და მსგავსი ხელისუფლების შეცვლა, გნებავთ იძულებით გადაყენება, მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებითაა შესაძლებელი. ეს მეთოდებია: ქვეყნის შიგნით — ხალხის შეიარაღებული აჯანყება ან სამხედრო გადატრიალება; გარედან კი — პოლიტიკურ-ფინანსური ზეწოლა, რაც ასევე ძალისმიერი მეთოდია, თანაც არანაკლებ ეფექტიანი. „შიშველი ხელების“ შიშით ავტორიტარული რეჟიმები არსადაც არ მიდიან, ასეთი კეთილშობილური ნაბიჯები დიქტატორების მხრიდან ისტორიამ არ იცის. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ჰუმანურ, მაგრამ უტოპიურ გზას ვეპოტინებით და მერე გვიკვირს შედეგი რომ არ ჩანს.**

მზამზარეული რეცეპტებივით გვაქვს ხალხური სიბრძნე — „ძალა აღმართს ხნავს“ და „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს“, მაგრამ მის განსახორციელებლად (უარსაც რომ არ ვამბობდეთ ძალისმიერ მეთოდებზე!ძ არც იარაღი გაგვაჩნია და არც ფული. იარაღი მხოლოდ კოდორის ხეობის და შიდა ქართლის მოსახლეობას გააჩნდა 2004 წლამდე, და კრიმინალურ დაჯგუფებებს — დანარჩენ საქართველოში. მოსვლისთანავე „ვარდების“ ხელისუფლებამ ყველა განაიარაღა მხოლოდ ერთი მოსაზრებით — მის განუკითხაობას სადმე შეიარაღებული წინააღმდეგობა რომ არ დახვედროდა. ერთი წუთით დავუშვათ, რომ ისევე როგორც ამერიკაში, საქართველოშიც უმეტეს ოჯახში სხვადასხვა კალიბრის რამდენიმე იარაღი ინახებოდეს, მაშინ ხომ მერაბიშვილ-ჯანაშვილის ნილზიანი „ზონდერკომანდები“ ასე „ვაჟკაცურად“ ვერ იბაირამებდნენ, როცა „დუბინკებით“, პლასტმას-რეზინის ტყვიებით და ე.წ. „ტაზერებით“ (ელექტროშოკითძ შეიარაღებულ ათ არაკაცს



სიკვდილის პირამდე მიჰყავს ერთი შეუიარაღებელი მოქალაქე მხოლოდ იმისთვის, რომ საპროტესტო მიტინგზე გაბედა მან მისვლა!

სწორედ ამიტომაც უტიფრად გვიცხადებენ — თუნდაც მილიონი ხელი ასწიეთ მაღლა პროტესტის ნიშნად, მაგ **შიშველი ხელებით „ფეხებსაც ვერ მოგვჭამთ“ და ვერც „ყურებზე დაგვაჭრით ხახვსო“.** უტიფრად კი გვეუბნებიან, მაგრამ უნდა ვაღიაროთ — სიმართლეს ამბობენ! და არა მარტო ამბობენ, არამედ სწორადაც მოქმედებენ. მათი მეთოდი ძველთაგან აპრობირებულია — დაშინება და მოქრთამვა, უშიშარი და მოუსყიდავი ხალხის კი — აქტიური ცხოვრებიდან გამოთიშვა მათი უსახსროდ დატოვებით — დაწყებული სამსახურიდან განთავისუფლებით ან ბიზნესის წართმევით, და ცემა-ტყეპა-დაჭერა-ციხეში დაავადება-მოწამვლა-ფიზიკური ლიკვიდაციით დამთავრებული. დაბარაბანებული, ტელევიზიით ტრიბგამოტანილი და მშიერი ხალხის [illegible] მელსაც ყოველდღიური ლუკმაპური აქვს საფიქრალი, [illegible] ზე გაუთავებელი (თავის განსაკუთრებაში!ძ სასირცხვილოდ — მას ან იარაღი უნდა მისცე ხელში ან საშუალო, ან, უკიდურეს შემთხვევაში — ორიოდ გროში. ამიტომაც ხელისუფლების მხრიდან მისთვის ნაწყალობევი თითო ტომარა ფქვილი, ცოტაოდენი ლობიო, მაკარონი თუ ზეთი, ერთი მანქანა შეშა თუ ერთი კანისტრა საწვავიც დიდი შეღავათია, იგი რამდენიმე თვით მაინც ისევ ხელისუფლების ხელებში შემყურე დარჩება. ოპოზიციის მხრიდან, ბუნებრივია, არც სამსახურის და, მით უფრო, იარაღის მიცემაა შესაძლებელი. აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რომ რაღაც გზებით ეს შესაძლებელიც რომ გახდეს, იგი მიუღებელი იქნება თითოეული საღად მოაზროვნე ქართველისთვის, რადგანაც ბევრად საშინელ და სამარცხვინო სამოქალაქო ომს მივიღებთ, ვიდრე გამსახურდიას დროს გადავიტანეთ.

მაშ არ ყოფილა საშველი და უნდა შევეგუოთ ბედს, ასე გამოდის თითქოს! არადა, **ერთი წლის წინათ, 2008 წლის აგვისტოში ნამდვილად ხელიდან იქნა გაშვებული არაჩვეულებრივი შანსი სამხედრო გადატრიალებისა,** დარწმუნებული ვარ, უსისხლო გადატრიალების. შერცხვენილ, უფროსებისგან მიტოვებულ და პრეზიდენტის უსიტყვო კაპიტულაციით ორ დღეში პატივაყრილ ჯარს წინ ვერ დაუდგებოდა ვერავინ — ვერც მერაბიშვილის პოლიცია და ვერც ნილზიანი „ზონდერკომანდები“. დიდიან-პატარიანად (დაკავებული თანამდებობების და ჩადენილი დანაშაულის მიხედვითძ ერთი-მეორეს გაასწრებდნენ ქვეყნიდან, ერთი გასროლაც არ გახდებოდა საჭირო, უფრო სწორად, ჰაერში ერთი გასროლა იქნებოდა საკმარისი. **ერთი გაბედული წინამძღოლი და დასრულდებოდა ყველა უბედურების მომტანი, გარედან მართულ-დაფინანსებული არაეროვნული ბიჭ-ბუჭების ხელისუფლება.**

ოპოზიციის გაუაზრებელი და თანაც საკმაოდ ხანგრძლივი მხარდაჭერის წყალობით ხელისუფლებამ ეს საფრთხე თავიდან აიცილა, კრიზისული დღეები გადააგორა და გონს მოეგო თუ არა, მაშინვე დაიწყო ჯარში ავტორიტეტის მქონე ოფიცრების გაუსამართლებლად(!ძ წმენდა-დაჭერა-დახვრეტები და, პარალელურად, საკვანძო პოსტებზე (თავდაცვის მინისტრის ჩათვლითძ შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოვლად შეუფერებელი პოლიციური კადრების დანიშვნა, რაც დღემდე გრძელდება. ისევ სწორად მოიქცა (თავისი სავარძლისთვის !ძ პრეზიდენტი — **დღესავით ნათელი იყო, რომ ერთადერთი საშიშროება მისთვის ჯარიდან მოდის, და რომ ოპოზიცია ადრე თუ გვიან ყურებს გამოიფხიზლებს და ამისთანა შანსს ხელიდან აღარ გაუშვებდა.**

[illegible] რომ თავისი შედეგი მოიტანს, ხალხში იქნება ეს, თუ ჯარში, ამას მტკიცება არ უნდა, მაგრამ რაღაც ხანს დაიჭერ ხელში და აკონტროლებ სიტუაციას, და ბოლოს [illegible] **ჯარშიც დაბეჩავებული და გაწამებული ადამიანების შვილები მსახურობენ, და თუ უიარაღო, შიშველხელებიანი ხალხი შედარებით დიდხანს შეიძლება დამორჩილებული გყავდეს, მისი შეიარაღებული შვილები გაცილებით მალე შემოგიტრიალებენ ამ იარაღს, საკადრო წმენდა მაღალ ეშელონებში მხოლოდ ცოტა ხნით გადასწევს სამხედრო ამბოხს, და ეს გადაწეული ამბოხი კი ბევრად უფრო სასტიკი იქნება, ვიდრე წამყვანი ოფიცრების მიერ დროზე დაგეგმილ-განხორციელებული.**

ყველა რევოლუცია და, ნაკლებად, სამხედრო ამბოხი ვიღაცის ინტერესებშია და დაფინანსებაც შესაბამისად ხდება — ან შიგნიდან ან გარედან (უხშირესადძ. ამის ნათელი მაგალითებია რუსეთის ოქტომბრის რევოლუცია 1917 წელს და „ჩვენი“ „ვარდების“ რევოლუცია 2003 წლის ნოემბერში (გნებავთ, სხვა „ფერადი“ რევოლუციები უკრაინასა და ყირგიზეთშიძ. რომ არა სოროსის ფულები, რომ არა რუსეთიდან შემოსული და „კანონიერი“ ქურდებისგან შეკრებილი ფულები, და რომ არა, იმავდროულად, პოლიტიკური მხარდაჭერა ამერიკა-რუსეთისგან ( რომელი მხარდაჭერაც დღესაც გრძელდება სხვადასხვა ფორმითძ, „თეთრი მელა“ კიდევ იმეფებდა რამდენიმე თვე და შემდეგ, ეგებ ქვეყნის ბედზე მაფიქრალი ხალხიც მოსულიყო სათავეში წესიერი (შედარებით !ძ არჩევნების გზით. რამდენ უბედურებას ავიცილებდით. სწორედ ასეთი ვარიანტის პოტენციური შესაძლებლობა რომ არსებობდა, **ამიტომ მოხდა დაჩქარებული წესით შევარდნაძის მშვიდობიანი გაცილება „დამსახურებულ“ პენსიაზე, რასაც რევოლუცია დაარქვეს ჩვენს დასაბნევად, რათა მსოფლიო ბინძურ პოლიტიკაში ჩაუხედავებს** (განსაკუთრებით იმ დროს, 2003-ში, როცა ინტერნეტი ის-ის იყო ფეხს იდგამდა და ბევრი ინფორმაცია, ისტორიული სინამდვილე მსოფლიო ომებზე, რევოლუციებზე და კრიზისებზე — მათი დაწყების მიზეზებსა და ავტორებზე, ფართო საზოგადოებისთვის უცნობი იყო. ამის გამოა ახლა ინტერნეტზეც ცენზურის დაწესებას რომ აპირებენ გლობალისტები მთელ მსოფლიოში!ძ **გვეტრაბახა — ნახეთ რა მაგრები ვართ ეს ქართველები, როგორი უსისხლო, ვარდებით ხელში რევოლუცია მოვაწყვეთო. სატანა კი გულში იცინოდა ჩვენს გულუბრყვილობაზე!**

რუსეთს რომ ჭკვიანური პოლიტიკა გაეტარებინა 90-იანი წლების დასაწყისში და ცოტა შორს გაეხედა, სულ არ დაიწყებდა ქართველი კაცი დასავლეთისკენ, ცხრა მთას იქით ყურებას, **განა შეჩვეული და ერთმორწმუნე ჭირი არ სჯობია შეუჩვეველ ურჯულო და უეროვნებო „ლხინს“?** რომელმა „ლხინმაც“ ისე მოგვიტანა სახელმწიფო ვალების სამჯერადი ზრდა, რომ ხალხის ცხოვრების პირობები სამჯერ გაუმჯობესების ნაცვლად, პირიქით, გაუარესდა. გუშინდელი მტერი — **თურქეთი,** დღეს ჩვენი საუკეთესო მეგობარია და პირველი პარტნიორი, ყველაფერი ცუდი დავიწყებულია, კარგი ხომ არც ყოფილა 500 წლის მანძილზე! გუშინდელი ჩვენი მოყვარე (ყველაფერი შედარებითია) — რუსეთი კი, [illegible] ტერიტორიები შემოიერთა ( მერე რა რომ რუსეთის იმპერიის [illegible] დაგვაკლდა, თუ არ მოგვემატა?!ძ და ერთ-ერთი ყველაზე [illegible] ერად მიიჩნეოდა მთელს კავშირში, — ეხლა ჩვენი პირველი მტერი და ოკუპანტი გახდა (თუმცა, რატომღაც, რაც კი გაგვაჩნდა, ყველაფერი მას გადავულოცეთ, და მიწებიც უბრძოლველად დავუთმეთ!ძ, **ყველაფერი კარგი დავიწყებულია! განა ცოტა რამ იყო კარგი ამ 200 წლის მანძილზე, განსხვავებით თურქეთისგან? ყველა სიკეთესთან ერთად, ადრე ქართველი კაცები გრიალებდნენ რუსეთში (და ამით თავსაც ვიწონებდით!), ეხლა კი ქართველი ქალები „გრიალებენ“ თურქეთში (და თავი სად გამოვყოთ არ ვიცით!), ქართველი კაცები კი სახლში სხედან და „ერთ ადგილს იფხანენ!** ერთადერთი, რასაც არავინ არ გვეკითხებოდა, საგარეო პოლიტიკა იყო (ახლა ხომ სულ ჩვენ გვეკითხებიან!ძ,საშინაოს გასატარებლად კი ორი ბოთლი კონიაკიც გვყოფნიდა!

ხშირად გვესმის ბრიყვული კითხვა: **ამერიკა თუ რუსეთი?** ანუ ვინ ავირჩიოთ — რუსეთთან ვიყოთ და ამერიკა ვაგინოთ, თუ — პირიქით. ორივესთან ნორმალური ურთიერთობა და მეზობელთან — რუსეთთან, ასეთი უშველებელი ბაზრის მქონე ქვეყანასთან, განსაკუთრებულად მჭიდრო კავშირების აუცილებლობა ბევრს, რატომღაც, ვერ წარმოუდგენია. თუმცა რა გასაკვირია, როცა მსოფლიოში მეორე სახელმწიფოს პრეზიდენტის ლანძღვა-გინებაშიც კი ცუდს ვერაფერს ხედავენ, პირიქით, თავისი „რჩეულის“ ენასხარტულობა და ჭკუამხიარულება მოსწონთ. ერთი წუთით დავუშვათ, რომ საქართველო რუსეთისხელა სახელმწიფოა და მოსახლეობითაც 150 მილიონი ვართ, და ამ დროს ვიღაც 3-მილიონიანი რუსეთი ჩვენს პრეზიდენტს „ლილიპუტს“ და „ქუჩის ბიჭს“ უწოდებს (თუნდაც, დამსახურებულადძ, საინტერესოა რა რეაქცია ექნებოდათ სააკაშვილის მხარდამჭერებს; დარწმუნებული ვარ, რაც პუტინმა გვიქნა ის მონაგონი იქნებოდა, 10-ჯერ მეტად აზღვევინებდნენ საკუთარი პრეზიდენტის შეურაცხყოფას და მუქარას არ აკმარებდნენ — მართლა „ერთი ადგილით“ დაკიდებდნენ ლაწირაკი სახელმწიფოს ლაწირაკ და თავხედ ვაი-მეთაურს!

განა **სომხები,** რუსეთთან კარგად რომ არიან და თან, მასზედ დიდწილად დამოკიდებულნი, ამის გამო თავს ვალდებულად თვლიან ამერიკას და მის პრეზიდენტს აგინონ? **განა ნორმალური, დაბალანსებული(!) და გააზრებული პოლიტიკის წყალობით ისინი ჩვენზე ნაკლებ დახმარებას იღებენ ამერიკისგან? თუ ნატოში შემსვლელთა რიგში დგანან ჩვენზე უკან?** მაგრამ სახელმწიფოს მართვას და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობას განათლებასთან ერთად ხომ დიდი გამოცდილებაც სჭირდება. რომელი ერთი აქვთ ჩვენს „სახელმწიფო მოღვაწეებს“ და „დიპლომატებს“? სოროსის „თავისუფლების ინსტიტუტში“ და „კმარაში“ მიღებული? და რამდენიმეთვიანი ამერიკული „ტრეინინგებით“ გაღრმავებული?

**რუსეთს რომ ჭკვიანური პოლიტიკა გაეტარებინა 90-იანი წლების დასაწყისში და ცოტა შორს გაეხედა, სულ არ დაიწყებდა ქართველი კაცი დასავლეთისკენ, ცხრა მთას იქით ყურებას**

ბოლო-ბოლო, სადაა საშველი, ან არის კი? თუ მართლა უსაშველო გვჭირს. კარგი რომ არ გვჭირს, ფაქტია, მაგრამ ეს „არ ახალია, ძველია“! ყველა ქართველმა ზეპირად იცის დიდი პოეტის სიტყვები: [illegible] **„ჭირსა შიგან გამაგრება, ასრე უნდა ვით ქვიტკირსა“**-ო! ჩვენი საშველიც ეს არის! მართალია, „მოყვარე მტერი“ ყველაზე ძნელი გასამკლავებელია, მაგრამ **მთავარია ბოლომდე მაგრად დგომა და ერზე ამოტყვრენ... — „ძალა ერთობაშია“,** [illegible]

**[illegible] ლეჟავა.**

(დასასრული იქნება)

## ინფორმაცია

### „კონტროლზე აიყვანეთ „ენგურჰესის“ საკითხი!

**პარლამენტის ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს მოუწოდებს განსაკუთრებულ კონტროლზე „ენგურჰესის“ საკითხი აიყვანოს, რათა რუსეთის მხრიდან რაიმე პროვოკაციული ქმედება არ მოხდეს.**

**,სეპარატისტთა ლიდერმა გააკეთა განცხადება „ენგურჰესთან“ დაკავშირებით, რომ „ენგურჰესის“ მფლობელობაში დაქვემდებარებას აპირებს. ასეთ შემთხვევაში, როგორც რკინიგზა გადაეცა რუსეთის ფედერაციას, ისე გადაეცემა „ენგურჰესიც“. ბაღაფშის განცხადება ყოველთვის პროვოკაციულია და შესაბამისად, მსგავს განცხადებებს ყოველთვის პროვოკაციული ქმედებებიც მოჰყვება. ვთხოვ მთავრობას, კერძოდ პრემიერ-მინისტრს განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანოს ეს საკითხი და იყოს მაქსიმალური ყურადღება „ენგურჰესთან“ დაკავშირებით, რომ არ მოხდეს გარკვეული ქმედებები ამ მიმართულებით რუსეთის ფედერაციის მხრიდან, — განაცხადა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დავითაიამ.**

### სოზარ სუბარმა ანგარიში თავად წარადგინოს

**საპარლამენტო უმცირესობა მოითხოვს სახალხო დამცველის 2008 წლის მეორე ნახევრის ანგარიში პარლამენტში სოზარ სუბარმა სახალხო დამცველად ყოფნის ვადის ამოწურვამდე წარადგინოს.**

**„ახალ სახალხო დამცველს არანაირი საფუძველი არ აქვს აღნიშნული პერიოდის ანგარიში ჩააბაროს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ეს მოხსენება მოიცავს რუსეთ-საქართველოს შორის გასულ აგვისტოს კონფლიქტის ამსახველ მასალებს, რასაც ეთმობა დაახლოებით 40 გვერდი. მაქვს ინფორმაცია, რომ გიორგი ტუღუში ამ ანგარიშის წარმოდგენას აპირებს. იგი 17 სექტემბრიდან შეუდგება სახალხო დამცველის მოვალეობის შესრულებას და ექნება ვალდებულება წარმოადგინოს 2009 წლის პირველი ნახევრის ანგარიში, რაც თვისობრივად განსხვავდება. შესაძლოა, ამ ანგარიშს ერთი და იმავე გვარის წარმომადგენელს შორის მოყვეს უსიამოვნო პაექრობა, ვინაიდან სუბელიანი ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი გახლავთ“,— განაცხადა პლენარულ სხდომაზე საპარლამენტო უმცირესობის წევრმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.**

### ქართულ ტელეკომპანიებს ბურჭულაძე პარიზიდან ემუქრება

**როგორც საოპერო მომღერალ პაატა ბურჭულაძის წარმომადგენელმა თეონა ჯორბენაძემ განაცხადა, საზოგადოებრივი მაუწყებლით, ტელეკომპანიების “იმედისა“ და “რუსთავი 2-ის“ ეთერით გადაცემული საინფორმაციო სიუჟეტების შინაარსით პაატა ბურჭულაძე აღშფოთებულია.**

**რა სიუჟეტებიც გავიდა, სიცრუეა და ცილისწამება. ასეთი შეფასება გააკეთა პაატა ბურჭულაძემ, — განაცხადა თეონა ჯორბენაძემ.**

**ამჟამად მსოფლიო ბანი პაატა ბურჭულაძე პარიზში იმყოფება და მსოფლიო პრემიერისთვის ემზადება.**

**ჯორბენაძის თქმით, თუ რა რეაგირებას მოახდენს ბურჭულაძე ქართული ტელევიზიების გადაცემის სიუჟეტებზე, მოგვიანებით გაირკვევა.**

**ქართული სატელევიზიო ეთერით გავიდა სიუჟეტები, სადაც პაატა ბურჭულაძე გააკრიტიკეს იმის გამო, რომ მან მოსკოვის საოპერო დღეებთან დაკავშირებულ კულტურულ ღონისძიებებში მიიღო მონაწილეობა.**

**„ექსპრესნიუსი“**

სახელმწიფო ბიუჯეტი

# დახმარება და გამჭვირვალობა



**კოალიციამ „გამჭვირვალე ფინანსური დახმარება საქართველო“, რომლის წევრი ორგანიზაციები არიან „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი,“, „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი“, „მწვანე ალტერნატივა“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და სხვები, საქართველოსთვის დონორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების მიერ დაპირებული ფინანსური დახმარების მიზნით გამოყოფილი თანხების შესახებ ერთობ საგულისხმო ანგარიში მოამზადა, რომელშიც შარშანდელ და წლევანდელ სახელმწიფო ბიუჯეტებში უცხოეთიდან შემოსული დახმარების ანალიზია მოცემული. კერძოდ, ვლადიმერ პაპავას ხელმძღვანელობით შედგენილ ანგარიშში ასახულია, თუ რამდენად ჯეროვნად და გამჭვირვალედ არის ასახული შარშანდელ და წლევანდელ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტებში ბრიუსელის დონორთა კონფერენციის შედეგად საქართველოსთვის გამოყოფილი თანხები.**

შარშან აგვისტოში საქართველო-რუსეთის ხუთდღიანი ომის შემდეგ, გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის გათვალისწინებით, საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. კერძოდ, ესენია **ომით მიყენებული ეკონომიკური ზარალის ლიკვიდაცია, საბანკო კრიზისის თავიდან აცილება, ინფლაციის შედარებით მაღალი დონის შემდგომი ზრდის პრევენცია, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის შენარჩუნება და სხვ.**

ვლადიმერ პაპავას თქმით, 2008 წლის ოქტომბერში ბრიუსელში მოწყობილ დონორთა კონფერენციაზე მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოსთვის ფინანსური დახმარების სახით 4,55 მილიარდი დოლარის შესაძლო გამოყოფის თაობაზე, საიდანაც ორი მილიარდი გრანტია, 2,55 მილიარდი კი — კრედიტი. **საქართველომ ამ დახმარების მიღება შარშან დაიწყო, ხოლო თავად ეს პროცესი 2011 წლამდე უნდა გაგრძელდეს.** ამ დახმარების მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა მოხმარდეს იმ უშუალო ეკონომიკური ზარალის აღმოფხვრას, რაც საქართველოს რუსეთის აგრესიის შედეგად მიადგა, ნაწილი კი — ქვეყნის ეკონომიკურ რეაბილიტაციას.

ბრიუსელის კონფერენციის ფარგლებში დონორთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საქართველოს მთავრობის მხრიდან დონორი ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან დამატებით მოლაპარაკებებს საჭიროებს, რომელთა საფუძველზე საბოლოოდ გადაწყდება მისაღები თანხების ოდენობა და ვადები.

— ყოველივე ამის გათვალისწინებით, საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასახულია მხოლოდ ის ფინანსური დახმარება, რომლის მიღების შესაძლებლობა 2009 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობისთვის შარშან წლის ბოლოს იყო ცნობილი, — ამბობს ექსპერტი. — ამდენად, ამთავითვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს წლევანდელ ბიუჯეტში ბრიუსელის კონფერენციის ფარგლებში დონორთა დახმარების ანალიზი ბოლომდე სრულყოფილი ვერ იქნება. წლეულს, თუნდაც იმის გამო, რომ დონორთა მხრიდან მისაღები თანხების ოდენობა და ვადები საბოლოოდ დაზუსტებული არ არის, საქართველოს მთავრობა იძულებული იქნება პერიოდულად მოამზადოს და პარლამენტს წარუდგინოს ქვეყნის 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესატან ცვლილებათა კანონპროექტები.

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, წლეულს, სავარაუდოდ, ჩვენს ქვეყანას დონორები თითქმის მილიარდ 860 მილიონ დოლარს გამოუყოფენ, რომელთაგან დაახლოებით 579 მილიონი დოლარი, ანუ მესამედი, გრანტი იქნება, ხოლო დანარჩენი, ანუ თითქმის მილიარდ 281 მილიონი დოლარი — სესხი.**

აქვე საგანგებოდ აღსანიშნავია ერთი გარემოება: 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის მიხედვით, **საქართველოს გრანტების სახით მისაღები ჰქონდა 445 მილიონი ლარი,** თუმცა, „2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის“ მე-2 თავის მე-4 მუხლში („უცხო ქვეყნების მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობებისგან მისაღები გრანტები“) ნოლი ლარია მითითებული, რაც იმას ნიშნავს, რომ, **დაგეგმილის მიუხედავად, წლეულს გრანტების სახით საქართველოს მთავრობა ბიუჯეტის უშუალო მხარდაჭერას არ ელის.**

— კიდევ ერთი საყურადღებო მომენტი ის არის, რომ 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში მსოფლიო ბანკიდან და აზიის განვითარების ბანკიდან მისაღები **შეღავათიანი კრედიტები გამიჯნული იყო,** წლევანდელ სახელმწიფო ბიუჯეტში კი რატომღაც ეს ორი წყარო გაერთიანებულია, რაც ზრდის ბიუჯეტის გაუმჭვირვალობას, — აცხადებს ვლადიმერ პაპავა. — გარდა ამისა, ამ ორივე წყაროდან ერთად მისაღებია მთლიანად 80 მილიონი დოლარი, ანუ 132,96 მილიონი ლარი. ამ ორი ციფრის შედარებით გამოდის, რომ ამ კონკრეტულ გათვლებში დოლარის ლარზე გაცვლითი კურსია 1,662. ეს განსხვავდება 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრების გათვლებისგან, რაც, უდავოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაკლოვანი მხარეა.

„ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ ფონდისთვის, ბრიუსელის კონფერენციის გადაწყვეტილებით, დონორების მიერ აკუმულირებულმა თანხამ მთლიანად 165 მილიონი ლარი შეადგინა. იგი გაწერილია წლების მიხედვით (2011 წლამდეძ და უნდა მხმარდეს **სამცხე-ჯავახეთში გზების მშენებლობას, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის პროექტებს, ენერგეტიკის მიზნებს (კერძოდ, გაზის საცავის მშენებლობის მოსამზადებელ სამუშაოებს) და ამ პროგრამის ადმინისტრირების ტექნიკურ დახმარებას.**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდაჭერაა გათვალისწინებული ქვეყნის საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის. კერძოდ, **სვენეთი-რიკოთის გვირაბის რეკონსტრუქციისთვის, ვაზიანი-გომბორი-თელავის გზისთვის, მეორადი და ადგილობრივი გზებისთვის, რისთვისაც 2009-2010 წლებში, მთლიანად 633 მილიონი ლარი დაიხარჯება.**

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ბრიუსელის კონფერენციის გადაწყვეტილებათა ფარგლებში დონორთა დახმარების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომი, თუმცა იგი სრულყოფილი არ არის იმის გამო, რომ ხშირად დროში გაწერილი არ არის. ეს ეხება არა მარტო იმ დახმარებას, რომელიც მომავალშია მისაღები, არამედ იმასაც, რომელიც საქართველოს მთავრობას უკვე მიღებული აქვს.

**ოთარ ტურაბელიძე**

გულის ბუხარი

# მიშა, შემაგინე!

## რაც ნაცებმა ქვეყანას დამართეს, იმის ფონზე დედის გინება იავნანასავით მოგეჩვენება კაცს

**ამ ორიოდე თვის წინათ რუსთაველთან მობობოქრე ხალხმრავალ მიტინგებზე ჩემს ყოფილ კოლეგას გადავეყარე.** წლების მანძილზე საქართველოს ტელემაუწყებლობაში, რომელიც ამ გადასახედიდან, მაშინ ჭეშმარიტად ეროვნული იყო, ერთად ვმოღვაწეობდით. ფრიად ცნობილი პიროვნება, ჟურნალისტი, მწერალი, სახელს და გვარს ვერ დავასახელებ. მისი გადაცემები ფრიად საყურადღებო და პოპულარული იყო, რისთვისაც მრავალი აღიარება მოიპოვა. დღეს იგი, როგორც ყველა შემოქმედი მამულიშვილი „ჩარეცხილებშია“. იმ ღირსეულ ჟურნალისტებზეც, დიდ ეროვნულ საქმეს რომ აკეთებდნენ და, სამწუხაროდ, ბევრი უკვე წასულა, მისგან შევიტყვე.



— გურამ პატარაიას მოკლემეტრაჟიანი ფილმი „რეკორდი“ ხომ გახსოვს? წყალგაღმიდან ჯოტია რომ ეხვეწება დურუ ხუნჭუას, მიდი, ერთხელ კიდევ შემაგინეო?! შენც დაწერე, მიშა, შემაგინეო, მიმიხვდი?! — ასე უცნაურად დამემშვიდობა და მეც ამეკვიატა ფიქრი.

რასაც მიშა უკეთებს ჩვენს ხალხს, რა დღეც დააწია ქვეყანას, შარვალჩამძვრალ ხუნჭუასთანა მილიონი შეგინებაც ვერ გადაფარავს. არადა, „მიშა შეგვაგინე“, ჯოტიას ვედრება, აგერ ერთი წლის წინათ ისედაც შაგრენის ტყავივით დამცრობილ ქვეყანას 112 თუ მეტი სოფელი რომ დააკარგვინა, ძირძველი ქართული მიწების დაბრუნების საკითხი მომავალი თაობის თავსამტვრევი რომ გახადა და აფხაზეთიდან ლტოლვილ სამასი ათასს კიდევ ათეული ათასობით ლტოლვილი მიამატა, რაღა სახსენებელია. არ სჯობდა, ეგინებინა, ველანძღეთ, შიმშილით სული ამოეხადა და ქვეყანა მტრისთვის არ ჩაებარებინა?!

ამას წინათ ერთი ჩემი ნაცნობი პედაგოგი, ათასობით მოსწავლის აღმზრდელი, დამკვალიანებელი, ამჟამად კი ასაკის პენსიონერი, სანაგვე ყუთთან სახეზე ცხვირსახოცაფარებული რომ შევიცანი, მიწა გამსკდომოდა, მერჩია. რუსთავი ხომ საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი იყო. საუკუნეების წინათ მურვან-ყრუს მიერ აოხრებული, უდაბნოდ ქცეული ნაქალაქარი გასული საუკუნის ორმოციან წლებში აღდგა. 46 წვრილი და მსხვილი საწარმო 80 ათასზე მეტ ადამიანს ასაქმებდა. ათასობით ახალი ქართული ოჯახი შეიქმნა აქ. ამ უღლეურთა საგინებელმა სტალინმა ჩაუყარა ამ ქალაქს საფუძველი. იყო დრო, 160 ათასი ადამიანიც ცხოვრობდა რუსთავში.

დღეს სამიოდე საწარმო შემორჩა იმ ორმოცდაექვსიდან. მოსახლეობის რიცხვი განახევრდა. დღეს ერი გადაგვარების გზაზეა. დიდი-დიდი, ორი შვილი თუ გაიჩინეს, იმისაც ეშინიათ. მარტო სამშობიაროში მისვლა ზარავთ. ბიჭები უცოლოები ბერდებიან, სამუშაო არა აქვთ, გოგოები უცხოეთში იხვეწებიან და თუ გაუმართლათ, თხოვდებიან. მერე თვალმახარა, ქართული გენით გალაღებული გოგო-ბიჭები საქართველოში რომ ჩამოჰყავთ, თავიანთ ბებიებსა და ბაბუებს ვერაფერს აგებინებენ. აქაური ბავშვებიც, უცხოეთში წლობით რომ მიჰყავთ, ისინიც ველარ მეტყველებენ რიგიანად და ეს მდგომარეობა დედის გინებაზე მეტი არ არის?!

მოდის მშიერი ზამთარი, ძუ მგელივით ავი და ბოროტი. პამიდორი ერთ ლარზე ნაკლები არ ღირს და ჩვენი დიასახლისების უდიდესმა ნაწილმა პამიდვრის წვენის მომარაგებაც ვერ მოახერხა. მალე თურქულ, კაუჩუკივით მაგარ პამიდორს მოგვაყრიან, გენმოდიფიცირებულ კარტოფილსა თუ ხახვს...

არადა, მარტო გარდაბნის რაიონში წელიწადში 120-130 ათას ტონა ბოსტნეულს მოიწევდნენ. რუსთავს, თბილისსა და ახლომახლო ქალაქებს გარდაბანი კვებავდა. ქვემო ქართლი ხომ ქვეყნის ბეღელი იყო და განა მარტო ბოსტნეული, ხორბალი, ქერი, სიმინდი, ხილი და ყურძენი ისე ხვავიანად მოჰყავდათ, რუსეთშიც გაჰქონდათ. დღეს ქვემო ქართლი იავარქმნილია. მარტო ამ ერთს აიტანდა კაცი მაგრამ, ყველა კუთხე-კუნჭული რომ იავარქმნილი და აწიოკებულია?!

კარგი როგორ არ ხდება? ახლახან რუსთავში პოლიციური სახელმწიფოს საამაყო კიდევ ერთი მინებიანი პოლიციის შენობა გაიხსნა, აქ ყველაფერი გამჭვირვალე იქნებაო. საქართველოს, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის საამაყო, სოხუმიდან ლტოლვილი მსოფლიო ჩემპიონი ამირან ბიწაძე, რომელიც სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს, დაასახიჩრეს. და განა მარტო ის...

კიდევ რომელ შეგინებაზე ვილაპარაკო?!

აი, თუნდაც ახლახან ჩემი ერთი ნაცნობი მძიმედ ავად გახდა. ახლა წევს სახლში და ექიმებთან სიარულში დახარჯულ ფულს ნანობს. საავადმყოფოში წასვლა ცოცხალი თავით აღარ უნდა, სახლს გააყიდინებენ. მე გადავრჩები თუ არა, ღმერთმა უწყის, სჯობს ცოლშვილს საცხოვრისი შევუნარჩუნო და ჩემი დასამარხი ფულიცო.

და კიდევ...

თუმცა მეც გავუბერე, რაღა ჩემო იმანო, კინაღამ სახელი წამომცდა, ის, რაც მიშამ და მისმა გარემოცვამ, ნაცებმა დაგვმართეს, გინება კი არა, დედის ტირებაა. მარტო რაც მე ვიცი ამათი ავკაცობისა, მთელი წიგნი გამოვა, რაც სხვებმა და შენც იცით, ამათზე აღარაფერს ვამბობ.

ისე, მახსოვს, ქართველის დედის გინება არავის შერჩებოდა. მგონი ისეთი ვაჟკაცები ჯერ კიდევ არიან. უამისობა ღმერთმა ნუ ქნას!

**გივი ჯახუა**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილის შავი პარასკევი

**შემოდგომა საქართველოსთვის დაიწყო მოვლენათა ჯაჭვით, რომელიც სერიოზულად ართულებს ქვეყნის ცხოვრებას. მას უწინარეს ყოვლისა დააძაბუნებს ერევანსა და ანკარას შორის დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარება, სომხეთ-თურქეთის საზღვრის გახსნა. შედეგად თბილისი დაკარგავს მთავარი მოთამაშის როლს ენერგორესურსებისა და სატვირთო ნაკადების ტრანზიტში მარშრუტით „აღმოსავლეთი-დასავლეთი“.**

ქართველი ექსპერტები ჯერჯერობით ვერ ბედავენ, თუნდაც მიახლოებით შეაფასონ ეკონომიკური ზარალი ქვეყნისთვის, მაგრამ ვარაუდობენ დიდ დანაკარგებს. თურქი ბიზნესმენები კი, პირიქით, ელოდებიან თავისი შემოსავლების სოლიდურ ზრდას სატრანსპორტო შეფერხებების შემცირებისა და ევროპასა და ამიერკავკასიას შორის ტვირთის გადაზიდვის დროის შემცირების ხარჯზე, რის შედეგადაც ქვეყანა გადის ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებზე. დღეისათვის სატვირთო კონვეიერები ხმელთაშუა ზღვის გავლით მიდიან საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურებში და უკვე იქიდან მიემართებიან დანიშნულების ქვეყნისკენ. ასეთ წრიულ მარშრუტს საქართველოს გავლით სჭირდება 10-12 დღე. საზღვრის გახსნა კი საშუალებას მისცემს მათ ეს ტვირთები გადაიტანონ სომხეთიდან სულ რაღაც 4 საათში, რაც მნიშვნელოვნად გააიაფებს ამ ტვირთის ტრანსპორტირებას. შავი ზღვის მონაკვეთი მარშრუტისა უკვე ზედმეტი ხდება, რაც მტკივნეულად დააწვება საქართველოს ეკონომიკას. სამაგიეროდ ეს სტიმულს მისცემს სომხეთის ეკონომიკას და შეამცირებს მის დამოკიდებულებას თბილისის კაპრიზებზე.

სომხეთ-თურქეთის ურთიერთობათა მოწესრიგება ზიანს აყენებს აგრეთვე საქართველოს ენერგოშემცველების ტრანზიტს. მისმა კონფიგურაციამ შეიძლება შეცვალოს ახალი ნავთობსადენების გაყვანა უმოკლესი გზით აზერბაიჯანიდან სომხეთის გავლით. ჯერჯერობით ამ გეგმების რეალიზაციას ხელს უშლის მთიანი ყარაბაღის პრობლემა. მაგრამ დაპირისპირება ბაქოსა და ერევანს შორის თანდათანობით წესრიგდება და იგი ადგილს უთმობს პრაგმატულ ინტერესებს.

4 სექტემბერი საქართველოსთვის „შავი პარასკევი“ გახდა. სამუშაო ვიზიტით ერევანს გაემგზავრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე. მისი მისია დიპლომატიურად აღნიშნულია, როგორც „საქართველო-სომხეთის ურთიერთობათა მიმდინარე საკითხები“. ეს საკითხები კი უკიდურესად გამწვავდა სომხეთის პრეზიდენტის სერჟ სარქისიანის განცხადების შემდეგ, რასაც თბილისის მასმედიამ „ზურგში დანის ჩაცემა“ უწოდა. შეგახსენებთ, რომ მან ერევანში გამოსვლის დროს ყოველწლიურ კონფერენციაზე საყვედური გამოთქვა თბილისის მისამართით სამცხე-ჯავახეთის სომხურ მოსახლეობაზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით. და უსიამოვნოდ აწყენინა მეზობელ ლიდერს: „...პოლიტიკა, რასაც ახორციელებენ ჯავახკთან დაკავშირებით, უნდა გამომდინარეობდეს პრინციპიდან „ინტეგრაცია ასიმილაციის გარეშე“.

უფრო მეტიც, სარქისიანმა რეკომენდაცია მისცა თბილისს, მისცეს სომხურ ენას რეგიონალური სტა-



ტუსი, აგრეთვე უზრუნველყოს სომხური სამოციქულო წმინდა ეკლესიას იურიდიული რეგისტრაცია, მიიღოს ქმედითი ზომები საქართველოში სომხური ისტორიული ძეგლების შენარჩუნებისთვის. პრეზიდენტის განცხადებას სიმწვავე მიანიჭა იმან, რომ პირველად სომხეთ-საქართველოს ურთიერთობებში ასეთი პრეტენზიები გაისმა ოფიციალურ დონეზე და პრაქტიკულად გაიმეორა ჯავახკის საზოგადოებრივი ლიდერების მოთხოვნები.

თბილისმა მწვავე და ნერვული რეაქცია მოახდინა. ვიცე-პრემიერმა, სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა მეტად გაღიზიანებით განაცხადა: „სომხეთმა მიხედოს სომხური ენის განვითარებას თავისთან და ჩვენ ძალიან გვიხარია, რომ სომხური ენა არის ერთადერთი სახელმწიფო ენა სომხეთში“. მაგრამ საკითხი ხომ შეეხებოდა რეგიონალურ ენას და არა სახელმწიფო ენას. შემდეგ გამოთქვა არცთუ უდავო თეზისი: „საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა, აქ დაცულია ყველა ეროვნულ უმცირესობათა უფლებები, მათ შორის სომხებისაც“. თუმცა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა არაერთგზის მიაქციეს ყურადღება არადამაკმაყოფილებელ სიტუაციას საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით და რეკომენდაცია მისცეს თბილისს, მიანიჭოს სომხურ და აზერბაიჯანულ ენებს რეგიონალური სტატუსი სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში.

წამოჭრილი ხანძრის ჩასაქრობად მეზობელ რესპუბლიკებს შორის თბილისში სასწრაფოდ ჩამოვიდა ერევანში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი მარი ოვანოვიჩი. იგი შეხვდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ალექსანდრე ნალბანდოვს (ეთნიკურ სომეხსძ და მასთან განიხილა საქართველო-სომხეთის ურთიერთობათა აქტუალური საკითხები. „მხარეები შეთანხმდნენ, რომ გააგრძელებენ აქტიურ კონტაქტს საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობასთან დაკავშირებით“, – ლაკონურად განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტმა. ცხადია, რომ ვაშინგტონმა გადაწყვიტა ჩარეულიყო მეზობლებს შორის წამოჭრილ კონფლიქტში, რათა იგი არ მივიდეს გამწვავებამდე და განუმარტოს მათ თავისი თამაშის წესები.

ბედის ირონიით, „თავი გამოიჩინა“ თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ჯონ ტეფტმა, რომელიც ტოვებს ქვეყანას. მიხეილ სააკაშვილმა მას გადასცა საქართველოს უმაღლესი ჯილდო – წმინდა გიორგის ორდენი. სამშობლოში გამგზავრების წინ იგი ჩავიდა რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, სადაც საზეიმოდ გახსნა საკონტროლო-გამტარი პუნქტი „ყაზბეგი-ზედა ლარსი“. ეს პუნქტი ნულიდან აღმართა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რისთვისაც დახარჯა 2,4 მილიონი დოლარი სატრანსპორტო ზოლის გაფართოებასთან დაკავშირებით. აქ აიგო შენობები და ნაგებობები ქართველი მესაზღვრეებისთვის და მებაჟეებისთვის, აღჭურვეს ისინი თანამედროვე მოწყობილობითა და ტექნიკით.

გასაკეთებელი ცოტაღა დარჩა – ამ საკონტროლო-გამტარი პუნქტის განახლება მას შემდეგ, რაც რუსეთმა იგი გადაკეტა თავისი მხრიდან კაპიტალური რეკონსტრუქციისთვის. წლევანდელ გაზაფხულზე იგი დამთავრდა, და სწორედ ამერიკელებმაც მოუსწრეს. ერევანში თავისი უკანასკნელი ვიზიტის დროს მიხეილ სააკაშვილმა სიტყვით გაიზიარა სომხეთის შეშფოთება საკონტროლო-გამტარი პუნქტის „ზედა ლარსი-ყაზბეგის“ უმოქმედობის გამო, რაც მისთვის რჩება ერთადერთ ყველაზე მოკლე და ხელსაყრელ მარშრუტად რუსეთში თავისი ბოსტნეულისა და ხილის ექსპორტისთვის. მას ენაზე არავინ ექაჩებოდა და იგი დაჰპირდა „ავტომატურად“ გაეხსნა სასაზღვრო საკონტროლო-გამტარი პუნქტი ყოველგვარი მოლაპარაკების გარეშე, რაც რუსეთი გახსნის მას თავისი მხრიდან. მოსკოვმა კი გახსნა, ახლა საპასუხო სვლა ქართველებზეა დამოკიდებული.

მაგრამ სააკაშვილისთვის უფრო ხელსაყრელია გამოეყოს ჩრდილოელ მეზობელს ყრუ კედლით, შექმნას წინაალმდეგობანი ნებისმიერი ხერხებით საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ნორმალიზაციის გზაზე, წარმოქმნას დაბრკოლებები და გადაულახავი ზღუდეები ნორმალური ურთიერთობებისა და საქმიანი პარტნიორობისთვის მეგობარ ხალხებს შორის. მისი კარნახით თბილისიდან გაასახლეს მოგონილი და უსაფუძვლო საბაბებით სახელოვანი რუსი ჟურნალისტები, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ კოლეგებთან კონსტრუქციული დიალოგის მოსაწესრიგებლად.

ეს კიდევ ერთი ძალიან ცუდი ახალი ამბავია საქართველოს პრეზიდენტისთვის: სააკაშვილს წარმოდგენაც არ აქვს, თუ როგორი მტრები შეიძინა მან და როგორ გააწამებს მას ჟურნალისტების საქმო. ამგვარ სიტუაციებში კორპორატიული სოლიდარობა დაუნდობლად ებრძვის მათ, ვინც აწყენინებს „კალმის ზვიგენებს“ და „კლავიატურის კოდალებს“.

**ალბერტ ვენალაინელი**

РОСБАЛТ

# საქართველოს თავზე მაკარტიზმის აჩრდილი ჩნდება

**საქართველოს პარლამენტი შემოდგომის სესიაზე მეოთხედ შეეცდება მიიღოს კანონი ლუსტრაციის შესახებ. ამას მოითხოვს დეპუტატი გია თორთლაძე. ევერესტის დამპყრობი ალპინისტი და ერთ დროს დიდი პოპულარობის მქონე ოპოზიციონერი პირდაპირ შეპყრობილია იდეით, გამოააშკარავოს „ხალხის მტრები“. წინანდელი მცდელობები ჩაიშალა მკვეთრი მოძმედებების გამო... მმართველი პარტიის სახით მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით.**

ამჯერად „პადოშა“, როგორც თორთლაძეს უწოდებენ, დარწმუნებულია წარმატებაში. უწინარეს ყოვლისა შარშანდელი აგვისტოს მოვლენების გამო. სამხრეთ ოსეთში ომის შედეგების ოპერირებით მან შეძლო მოლაპარაკებოდა თავის კოლეგებს და პრეზიდენტსაც კი, კვლავ განხილულიყო ეს თემა.

ნაღვაწს პოლიტიკოსისა, რომელმაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოიარა თითქმის ყველა პარტია, აქვს დიდი სახელწოდება „საქართველოს კანონი ყოფილი სსრ კავშირის სპეცსამსახურების საიდუმლო თანამშრომლების, კომუნისტური პარტიისა და ლენინური კომკავშირის მაღალი თანამდებობის პირთა რეგისტრაციის, ნებაყოფლობითი აღიარებისა და რეესტრის წარმოების შესახებ“.

ნოვაციის არსი ელემენტარულია. კანონპროექტი კრძალავს დაიკავონ მეტნაკლებად მნიშვნელოვანი სახელმწიფო თანამდებობა კომპარტიისა და კომკავშირის ყოფილმა ხელმძღვანელებმა, უშიშროების სახელმწიფო კომიტეტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა. ვეტო ედებათ აგრეთვე საქართველოს სსრ ტელერადიო მაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეებს. მოცვა ძალიან დიდია. რიგითი სექსოტებიდან და კონსპირატიული ბინების მფლობელებიდან კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებამდე. დაზუსტებულია დროებითი ჩარჩოებიც კი. კანონის დებულება ვრცელდება ყველაზე, ვისაც წარსულში ჰქონდა ურთიერთობა კომუნისტურ პარტიასთან, კომკავშირთან და სპეციალურ სამსახურებთან 1921 წლის 25 თებერვლიდან 1991 წლის 9 აპრილამდე.

ამ პიროვნებებს არ შეუძლიათ კენჭი იყარონ საქართველოს პრეზიდენტობაზე, აირჩიონ პარლამენტში, მერებად, ავტონომიებისა და რაიონული ადმინისტრაციების ხელმძღვანელებად, დაინიშნონ გუბერნატორებად, მოსამართლეებად. იმუშაონ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, პარლამენტის აპარატში, მთავრობის კანცელარიაში. დაიკავონ მაღალი თანამდებობანი მინისტრთა კაბინეტში და იმუშაონ უშიშროების საბჭოში. იმსახურონ თავდაცვის სამინისტროში ვიცე-პოლკოვნიკის წოდების ზევით. უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობაც კი არ შეუძლიათ. კანონი აიძულებს მისი წნეხის ქვეშ მოქცეულებს ნებაყოფლობით გათავისუფლდნენ ამჟამად დაკავებული თანამდებობებიდან ერთი თვის განმავლობაში. კიდევ ნახევარი წლის ვადა ეძლევათ იმისთვის, რომ მოინანიონ თავიანთი ცოდვები კომისიის წინაშე, რომელსაც პრეზიდენტი ქმნის. ამავე დროს ისინი ვალდებული არიან „დაასმინონ“ თავიანთი ყოფილი კოლეგები. თუ კანონის ეს დებულებები ვინმეს მიერ არ იქნება შესრულებული, ინფორმაცია დარღვევების შესახებ გამოქვეყნდება. ყალბი ინფორმაციის გავრცელება საკუთარ თავზე ან სხვა მოქალაქეებზე ისჯება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით.

**კირილ კოლოდინი**

ИЗВЕСТИЯ

## დედამიწის ზურგზე



**ლორა ბუშმა ეთერში შეაქო ბარაკ ობამა და მისი ცოლი**

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა პირველმა ლედიმ სი-ენ-ენ-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ რთულ სიტუაციაში, რომელშიც მოხვდა ბარაკ ობამა, „მან კარგად შეასრულა თავისი სამუშაო“, აგრეთვე შეაქო იგი სასწავლო წელთან დაკავშირებით სკოლის მოსწავლეებისადმი მიმართვის გამო. მან თავისი მიუზღო მიშელ ობამასაც, რომელმაც შეძლო თეთრი სახლი გადაექცია „კომფორტულ ადგილად თავისი ოჯახისთვის“.

* * *

**ინდონეზიაში ერთ დღეს ორი ძლიერი მიწისძვრა მოხდა**



მისი მაგნიტუდა შეადგენდა 6,8. მიწისქვეშა ბიძგები შეინიშნებოდა ვრცელ ტერიტორიაზე, მათ შორის ქალაქ ტულუნგაგუნგში. ცნობები ნგრევისა და დაღუპულთა შესახებ არ შემოსულა.

* * *

**დასავლეთ აფრიკაში წყალდიდობის შედეგად დაზარალდა 600 ათასი კაცი**



რეგიონის ათობით ქვეყანაში, სადაც ძირითადად გვალვებია ხოლმე, რამდენიმე კვირის განმავლობაში გადაუდებლად წვიმდა. ბურკინა-ფასოში დაიღუპა 7 კაცი. სტიქიურმა უბედურებამ მოიცვა აგრეთვე: სენეგალი, ნიგერია, განა, ბენინი, გვინეა, გამბია, მავრიტანია, კოტ-დ'იუარი და სიერა-ლეონე.

* * *

**გარდაცვლილი სენატორის – კენედის ძმისწული და ქვრივი უარს ამბობენ კონგრესში ადგილისთვის ბრძოლაზე**

მათი განცხადება „მწვანე შუქს“ უნთებს ბევრ პოლიტიკოსს, რომლებიც არ აპირებდნენ ჩართულიყვნენ ბრძოლაში, ვიდრე უარს არ იტყოდნენ კენედის ოჯახური წრის ყველა წევრი. თავისი კანდიდატურა არჩევნებში სენატორის სავარძლისთვის ოფიციალურად წამოაყენა ჯერჯერობით მხოლოდ მასაჩუსეტსის გენერალურმა პროკურორმა მარტა კოუკლიმ.



№ 178. ოთხშაბათი, 9 სექტემბერი, 2009 წელი.

# ზღვის ვიტამინები მრავალი დაავადებისგან გვიხსნიან

***ომეგა-3 ბევრისთვის ისეთივე ჩვეულებრივია, როგორც ვიტამინები. ამ ბუნებრივი ცხიმოვანი მჟავების სახელწოდებას, რომლებსაც თევზი, ზღვის პროდუქტები და ზოგიერთი მცენარე შეიცავს, ხშირად ვკითხულობთ პრესაში.***

## ისინი ყოველთვის საჭირონი არიან

**აი, რამდენიმე უკანასკნელი ცნობა ომეგა-3-ის სასარგებლო ეფექტების შესახებ: ისინი ხელს უშლიან მსხვილი ნაწლავის კიბოს განვითარებას, ასუსტებენ სიმსუქნის ნეგატიურ ეფექტს და ამცირებენ შაქრის დიაბეტის განვითარების რისკს, მამაკაცებში პოზიტიურად მოქმედებენ სპერმის ხარისხზე, აუმჯობესებენ მის ნაყოფიერებას.** მაგალითების მოყვანა ბევრი შეიძლება. სპეციალისტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ამ ცხიმოვან მჟავებს, რომლებიც ჩვენთვის ისევე აუცილებელია, როგორც ვიტამინები (ჩვენი ორგანიზმი მათ არ აწარმოებს), აქვთ უამრავი სასარგებლო ეფექტი. ზოგი მათგანი დადასტურებულია და ეჭვებსაც არ იწვევს (იხ. ცხრილი). ზოგიერთ ზემოთ ჩამოთვლილს, ალბათ, მალე დაადასტურებენ, თუმცა ჯერ კიდევ მოითხოვს შემდგომ კვლევებს.

ყველაზე უკეთ შესწავლილია ომეგა-3-ის ზემოქმედება სისხლძარღვებსა და გულზე. დიდმასშტაბიან გამოკვლევებში, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობდა ათეული ათასობით ადამიანი, გაირკვა, რომ ისინი ამცირებენ სისხლში მავნე ცხიმების ოდენობას, ხელს უშლიან თრომბების წარმოქმნას და სისხლძარღვებში ანთების განვითარებას, რითაც გვიცავენ ინფარქტებისგან, ინსულტებისგან, მოულოდნელი სიკვდილისგან. ავადმყოფებს, რომელთა გულებიც დაზიანებულია, ურჩევენ მიიღონ ომეგა-3-ის მაქსიმალური დოზები — 800-1000 მილიგრამი ყოველდღე. ყველა დანარჩენისთვის ოპტიმალური დოზაა — სულ ცოტა 500 მილიგრამი.





ეს მონაცემები ახლახან გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ორი კვირით ადრე თავისი რეკომენდაციები გამოაქვეყნა ევროპის საკვების უშიშროების სააგენტომ. ისინი შედარებით ზომიერია: ომეგა-3-ის მჟავების სასარგებლო დოზა ევროპაში ორჯერ მცირეა — 250 მგ დღეში. სადაა ჭეშმარიტება? ალბათ, შუაში, მაგრამ მთავარია ის ფაქტი, რომ ომეგა-3-ის მჟავების გარეშე — „არც იქით და არც აქეთ გზა არა გვაქვს" — ისინი აუცილებლად გვჭირდება. სად უნდა ვიშოვოთ ისინი და რა არის ეს? და საერთოდაც, შეიძლება თუ არა შევაგროვოთ დღის დოზა პროდუქტებისგან — აფთიაქში გასაყიდი პრეპარატებისა და თევზის ქონის გარეშე?

## თევზი არ გველოდება

**ომეგა-3-ის მთავარი წყაროა — თევზი და ზღვის პროდუქტები. თანაც რაც უფრო ცხიმიანია ისინი და რაც უფრო ცივ წყალში არსებობენ, მით მეტია მათში ეს ცხიმოვანი მჟავები.** მაგალითად, ჩრდილოეთის ორაგულის (სიომგის) 100-125-გრამიანი ულუფა შეიცავს ომეგა-3-ის 3-4 დღიურ ულუფას. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ამით მდიდარია მხოლოდ დელიკატესური თევზი. ქაშაყის ასეთსავე ულუფაში ეს მჟავები ოდნავ მეტია, ქარსალასა (კილკა) და მოივაში — ოდნავ ნაკლები, სკუმბრიის, სარდინისა და სტავრიდის ულუფაში 4-დან 5 დღიურ ნორმამდეა, პალტუსში, კეფალში, თართში — დაახლოებით ერთი ულუფა, ვირთევზაში, კამბალასა და ზღვის ქორჭილაში — ულუფის დაახლოებით ნახევარი ან ოდნავ მეტი. ამდენივეა კრევეტში, კიბოში და ზღვის სხვა პროდუქტებში.



როგორ უზრუნველვყოთ საჭირო დოზა ყოველდღიურად — ყოველდღე ხომ ვერ ვჭამთ თევზს? საკმარისია კვირაში ორი „თევზის დღე", სხვა დღეებში კი დაუმატეთ ომეგა-3-ის შემცველი სხვა პროდუქტები. ზოგჯერ მეტად მცირე ოდენობითაც. მაგალითად, მჟავებით ყველაზე მდიდარი ომეგა-3 — ვირთევზას (ტრესკას) ღვიძლია. 100 გრამ კონსერვირებულ ღვიძლში 10-დან 25 გრამამდე ეს ნივთიერებაა, მის ზეთში კი იგი ასეთ კონსერვში ყოველთვის არის — 30 გრამზე მეტი. ეს ნიშნავს, რომ დღიური დოზისთვის საჭიროა 2,5-5 გრამი ღვიძლი ან 1,5 გრამი ზეთი. ესე იგი საკმარისია სულ ცოტა ზეთის ან ღვიძლის დამატება რომელიმე კერძში (სალათი, გარნირი და ა.შ.) და დღიური ნორმა შესრულებულია. ნუ დაუჯერებთ მათ, ვინც ამ პროდუქტის ლანძღვას დაიწყებს და მის ნაცვლად გვთავაზობს თევზის ქონზე დამზადებულ პრეპარატებს. თითქმის ყველა მათგანი ვირთევზას ღვიძლისგანაა დამზადებული — ეს მთავარი ნედლეულია ასეთი საშუალებებისთვის.

## არა ზღვითა ხოლო

**„გარდა ზღვის ომეგა-3-ის მჟავებისა, რომლებსაც შეიცავენ თევზები და ზღვის პროდუქტები, მსგავს ნივთიერებებს შეიცავენ მცენარეები, ნიგოზი, თხილი, თესლები და მათგან მიღებული ზეთები, — ამბობს ცნობილი სპეციალისტი კვების საკითხებში ვარლამ ტატიშვილი.** — მათგან მთავარი — ალმ (ალფა-ლინოლენის მჟავა). ის ბევრია სოიას ზეთში. გირჩევდით მათ ჩართვას საკვებში, მზესუმზირის ზეთთან შენაცვლებით. ბევრი ალმ-ია სელის ზეთში. არ შეიძლება მისი თბოდამუშავება, მაგრამ შეიძლება სალათებში მათი ცოტა ოდენობის დამატება და ისე, უბრალოდ, მიღებაც. თუმცა მთლიანად მცენარეულ ომეგა-3-ის მჟავას არ შეუძლია ზღვის ამ მჟავის შეცვლა"

სხვათა შორის, ქალებისთვის ომეგა-3 უფრო მარტივი რამეა, მათში უფრო იოლად და უკეთესად წარმოიქმნება ალმ. ამის წყალობით ფეხმძიმობის დროს მათ შეუძლიათ უზრუნველყონ ომეგა-3-ით თავიანთი თავიც და მომავალი ბავშვიც.

როგორც ჩანს, არიან ადამიანები, ვისშიც ალმ-ის გადაქცევა საზღვაო ომეგა-3-ად, საერთოდ, ხდება უფრო უკეთ, ვიდრე სხვებთან.

## მჟავების ომეგა-3-ის ეს ეფექტები უკვე დადასტურებულია

- იმ ქალებს, ვინც ბევრ ომეგა-3 იხმარს, უფრო იშვიათად ემართებათ დეპრესია, მათ ბავშვებს უფრო სწრაფად და უკეთესად უვითარდებათ შემეცნებითი უნარი.
- იმ ავადმყოფებს, ვისაც აწუხებთ გულ-სისხლძარღვთა დაავადებანი, იშვიათად ემართებათ გართულებები, განმეორებითი ინფარქტები, არითმიები, მოულოდნელი სიკვდილი. მჟავა ომეგა-3 ამცირებს სისხლში მავნე ცხიმებს.
- ომეგა-3-ის ცხიმოვანი მჟავები პოზიტიურ გავლენას ახდენენ ფსიქიკურ მდგომარეობაზე, თავიდან გვაცილებენ დეპრესიებს.
- წინააღმდეგობას უწევენ დაბერებას, შემეცნებითი და გონებრივი უნარის ასაკობრივ დაქვეითებას.
- ამცირებს ალცჰაიმერის ავადმყოფობის განვითარების რისკს.
- აუმჯობესებს გონებასუსტი პაციენტების გონებრივ ფუნქციას და ამცირებს აგრესიულობას.
- წინააღმდეგობას უწევს თვალის ბადისებრი გარსის (ეგრეთ წოდებული მაკულარული დეგენერაციის), მოხუცების სიბრმავის მთავარი მიზეზის განვითარებას.
- წინააღმდეგობას უწევს ღვიძლის სიმსუქნის, მეტაბოლური სინდრომისა და შაქრის დიაბეტის განვითარებას.
- ამსუბუქებს რევმატოიდული ართრიტის — იმ მძიმე დაავადების მიმდინარეობას, რომელიც აზიანებს სისხლძარღვებს და შინაგან ორგანოებს. ამცირებს ჰორმონალური პრეპარატებისა და ანთებითი პროცესების საწინააღმდეგო წამლების მოთხოვნებს.
- ფსორიაზისა და კრონის დაავადების (დიდი მსხვილ ნაწლავის მძიმე დაზიანება) დროს ახანგრძლივებს რემისიას და ამცირებს ჰორმონალური პრეპარატების მოთხოვნილებას.
- გვეხმარება ბავშვების ბრონქული ასთმის მკურნალობაში.

### ქარის მოცვანილი

ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში 25 ათასი ქარის გენერატორი მუშაობს, რომელთაგან 4500 სან-ფრანცისკოს მახლობლად ქარის ფერმაში ალტამონტ-პასშია. ამერიკელი ენერგეტიკოსების გაანგარიშებით, 2030 წლისთვის ქარის ენერგია ქვეყნის მოსახლეობისა და საწარმოების ელექტროენერგიის მოთხოვნილების 20 პროცენტს დააკმაყოფილებს.

### პასტორი გაძვირდა

40 წლის წინათ „პასტორ სვალმიუსის პორტრეტი" ანტვერპენის სამეფო მუზეუმმა შეიძინა როგორც რემბრანდტის ნამუშევარი, მაგრამ ლაკი ჩამუქდა და ნახატიც მხოლოდ ამ სკოლის რომელიმე მხატვრის ნამუშევრად მიიჩნიეს.

და აი, ამასწინანდელმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ნახატი სწორედ რემბრანდტის მიერაა შესრულებული. ამან კი ტილო 1 მილიონიდან 20 მილიონ ევრომდე გააძვირა.

### ცაციები ციფრებსა და ფაქტებში

ჩვენს პლანეტაზე ადამიანების 90-91 პროცენტი „მემარჯვენეა", მხოლოდ 3-5 პროცენტი — „მემარცხენე", ანუ ცაცია. დანარჩენები ამბიდექსტრები არიან, ანუ ორივე ხელს ერთნაირად ხმარობენ.

ენაბლუობა და დისლექსია (კითხვის უუნარობა) უფრო ხშირგად ცაციებში გვხვდება.

იაპონიაში მეოცე საუკუნემდე ცოლის ცაციობა საკმარისი იყო მასთან გაყრისთვის.

მემარჯვენეები საშუალოდ 9 წლით მეტს ცოცხლობენ, ვიდრე ცაციები.

კრივში ოქროს მედლების 40 პროცენტი ცაციების მონაპოვარია.

ცაციები მამაკაცები უფრო არიან, ვიდრე ქალები.

კოლეჯდამთავრებულთა შორის ცაცია მამაკაცების 15 პროცენტი უფრო მდიდარია, ვიდრე მემარჯვენეები, ხოლო უშუალოდ განათლებულთა შორის ცაციების 26 პროცენტი მემარჯვენეებზე მდიდარია. ქალთა შორის ეს განსხვავება არ გამოუვლენიათ.

---

# ქ. თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება №9-23

26 აგვისტო. 2009 წ.
07.09.2009წ.
010.250.050.36.101.013.519

**„ქ. თბილისში ლიტერატურული კონკურსის „გალა" მოწყობის შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 28 თებერვლის №2-23 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

1. „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის თანახმად ქ. თბილისის საკრებულომ **გადაწყვიტა „ქ. თბილისში ლიტერატურული კონკურსის „გალა" მოწყობის შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 28 თებერვლის №2-23 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და გადაწყვეტილების პირველი პუნქტის:**

ა) „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ყოველ წელიწადს კონკურსის მოწყობამდე შეიქმნას შესაბამისი სამუშაო ჯგუფი 5 წევრის შემადგენლობით, რომელიც გაუქმდება ლიტერატურული კონკურსის დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ. სამუშაო ჯგუფმა შეისწავლოს და შეაფასოს გამომცემელთა მიერ წარმოდგენილი პროდუქცია (წიგნები, კრებულები და ა.შ.). აღნიშნული პროდუქციის გადაცემას სამუშაო ჯგუფისათვის უზრუნველყოფს ქ. თბილისის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის, სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისია (შემდგომში - კომისია);";

ბ) **„ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ე) ნომინაციაში გამარჯვებულს საჩუქრად გადაეცეს კონკურსის სიმბოლო და ფულადი ერთჯერადი განაცემი (ჯილდო) 4000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით;";

გ) **„ზ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ზ) კომისიის თავმჯდომარემ ქ. თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებით განსაზღვროს სამუშაო ჯგუფის წევრების კანდიდატურები;";

დ) **„თ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„თ) ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსმა კომისიის თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე უზრუნველყოს სამუშაო ჯგუფის წევრებთან ინდივიდუალური ხელშეკრულებების გაფორმება. სამუშაო ჯგუფის წევრის ანაზღაურება განისაზღვროს არანაკლებ 580 (ხუთას ოთხმოცი) ლარისა;";

ე) **„კ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„კ) ამ გადაწყვეტილების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ. თბილისის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის, სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიამ.".**

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი**

კალათბურთი

# კიდევ ერთი გამარჯვების იმედით



**გუშინ დილით სპორტის სასახლესთან გამოვიარე. სალაროსთან უამრავ ახალგაზრდას მოეყარა თავი. ნაღვლიანი თვალებით შესცქეროდნენ ფანჯრებზე გაკრულ წარწერას — ბილეთები არ არის!**

— შენი ბრალია. გუშინ უნდა წამოვსულიყავით ბილეთების შესაძენად, — უსაყვედურა ერთმა ყმაწვილმა მეგობარს.

— აბა, რას ვიფიქრებდი, ასე მალე თუ გაიყიდებოდა, — თავი იმართლა მეორემ...

დიახ, თბილისის სპორტის სასახლეში დღეს ანშლაგი იქნება — უფრო მეტი მაყურებელი მოვა საქართველო-ბელარუსის მატჩის სანახავად, ვიდრე შვედებთან ორთაბრძოლისას. არადა, მაშინ გულშემატკივრები კიბეებზეც ისხდნენ. ჩვენს ბიჭებს კიდევ ერთი გამარჯვების იმედით გულანთებული მაყურებლების ომახიანი ქომაგობა არ მოაკლდებათ. შეგახსენებთ, რომ გასულ შაბათს ქართველმა კალათბურთელებმა მოგილიოვში მასპინძლებს 14-ქულიანი სხვაობით მოუგეს. რა მოხდება განმეორებით მატჩში?

— ბელარუსები უხეშად გვეთამაშნენ. რომ მარცხდებოდნენ, პროვოკაციაზე წამოგებას ცდილობდნენ. ხომ ნახეთ ელისის რეაქცია. მაქსიმალურად ვეცადე, თავი შემეკავებინა. გაბრაზებული ვართ მეტოქეზე, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჯავრი 9 სექტემბრის მატჩისას ვიყაროთ — ბელარუსებს მეტი სხვაობით მოვუგოთ და გულშემატკივრები კიდევ ერთხელ გავახაროთ. ჩვენს გუნდს ეს შეუძლია, — გვითხრა ზაზა ფაჩულიამ.

**ჩვენც ამის იმედი გვაქვს.**

**მატჩი დღეს 19 საათზე დაიწყება.**

**ვაჟა დანელია**

# ესპანეთმა სტარტზევე წაიფორხილა



**პოლონეთში დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირი, რომელშიც 16 გუნდი მონაწილეობს. შეჯიბრება სენსაციით დაიწყო — უპირველეს ფავორიტად შერაცხულმა ესპანეთის ნაკრებმა ვერაფერი მოუხერხა სერბეთის ეროვნულ გუნდს და გათამაშების ცხრილში პირველი მარცხიც გაიფორმა.**

**გაუწყებთ ევრობასქეტის პირველი ტურის შედეგებს:**

**A ჯგუფი:** მაკედონია — საბერძნეთი 54:86 (13:28, 15:24, 9:17, 17:17ძ, ხორვატეთი — ისრაელი 86:79 (25:17, 17:20, 17:22, 27:20ძ.

**B ჯგუფი:** რუსეთი — ლატვია 81:68 (28:21, 11:15, 19:16, 23:16ძ, საფრანგეთი — გერმანია 70:65 (14:17, 19:20, 17:11, 20:17ძ.

**C ჯგუფი:** ბრიტანეთი — სლოვენია 59:72 (15:27, 20:10, 12:14, 12:21ძ, სერბეთი — ესპანეთი 66:57. (15:12, 23:11, 18:14, 10:20ძ.

**D ჯგუფი:** პოლონეთი — ბულგარეთი 90:78 (32:21, 20:16, 23:21, 15:20ძ, თურქეთი — ლიტვა 84:76 (19:22, 20:17, 24:19, 21:18ძ.

ჭადრაკი

# ჩემპიონობის შანსი არ დაუკარგავთ

**ნინბოში (ჩინეთიძ მოჭადრაკე ქალთა გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატზე მეშვიდე ტური უიღბლო გამოდგა ლიდერებისთვის — სამივე ფავორიტმა წააგო. პოლონეთმა — სომხეთთან, საქართველომ — რუსეთთან და ჩინეთის პირველმა ნაკრებმა — ამერიკასთან. ვინ როგორ ითამაშა, ამას ტექნიკური შედეგებიდან შეიტყობთ:**

**საქართველო — რუსეთი 1,5:2,5** (მაია ჩიბურდანიძე — ტატიანა კოსინცევა 0,5:0,5, ნანა ძაგნიძე — ნადეჟდა კოსინცევა 0,5:0,5, ლელა ჯავახიშვილი — მარინა რომანკო 0,5:0,5, სოფიკო ხუხაშვილი — ვალენტინა გენინა 0:1ძ.



**აშშ — ჩინეთი (1ძ 3:1** (ირინა კრუში — ჰოუ იფანი 1:0, ანა ზატონსკიხი — შენ იანი 0:1, რუსუდან გოლეთიანი — იუ ვენიუნი 1:0, ალისა მელიოხინა — ჰუან ძიანი 1:0ძ.

**პოლონეთი — სომხეთი 0,5:0,5** (ივეტა რაილიჩი — ელინა დანიელიანი 0:1, იოლანტა ზავადსკა — ლილით მკრტჩიანი 0:1, იოანა დვორაკოვსკა — ლილით გალოიანი 0:1, იოანა მაიდანი — ნელი აგინიანი 0;5:0,5ძ.

**ვიეტნამი — ინდოეთი 1:3** (თრამ ჰოანგი — ჰარიკა დრონავალი 0,5:0,5, ნგუენ ჰამი — ტანია საჩდევი 0:1, ჰუ ჰოანგი — იეშა კარავადე 0,5:0,5, ნგოკ ჩამი — მერი გომესი 0:1ძ.

**ჩინეთი (2ძ — უკრაინა 2:2** (თან ჟონგი — ანა უშენინა 1:0, ჟან სიაოვენი — ნატალია ჟუკოვა 0,5:0,5, ვან იუა — ინა გაპონენკო 0:1, ვან სიაოჰუი — ნატალია ზდებსკაია 0,5:0,5ძ.

ექვსი ტურის შემდეგ 9 ქულით (პირად ქულათა ჯამი 13ძ პოლონეთი ლიდერობს. ორ-ორი ქულით ჩამორჩებიან უკრაინა (13,5ძ, ჩინეთი (1; 13,5ძ საქართველო (13,5ძ და რუსეთი (13ძ. მომდევნო ადგილებზე არიან ჩინეთი (2ძ — 6 (12ძ, სომხეთი — 6 (11ძ, აშშ — 5 (12,5ძ, ინდოეთი — 5 (10,5ძ, ვიეტნამი — 1 (7,5ძ ქულა.

**მოჭადრაკეები გუშინ ისვენებდნენ. დღეს ერთმანეთს დაუპირისპირდებიან:** უკრაინა — აშშ, ინდოეთი — ჩინეთი (2ძ, სომხეთი — ვიეტნამი, რუსეთი — პოლონეთი, ჩინეთი (1ძ — საქართველო. ფავორიტებს, მათ შორის — ჩვენს ნაკრებს, ჩემპიონობის შანსი ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ.

# ორი ტურით ადრე

**იტალიურ ფერმოში დასასრულს უახლოვდება 10-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობა.** შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე რამდენიმე ქართველმა მოჭადრაკემ საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსი შეინარჩუნა. სხვებზე უკეთესი სატურნირო მდგომარეობა ნინო ხომერიკსა (12-წლიანებიძ და ქეთი წაწალაშვილს (18-წლიანებიძ აქვთ. ისინი თავიანთ ასაკში 6-6 ქულით ლიდერობენ. ბოლო ორი ტურის წარმატებით განვლის შემთხვევაში მედლების მოპოვება ნიკოლოზ ქემსიაშვილს (12 წ.ძ, ლიკა კოზეშავიძეს, ნატო იმნაძეს, დავით ბენიძეს (14 წ.ძ, მერი არაბიძეს, მარიამ დანელიას, ზურაბ ჯავახაძეს (16 წ.ძ, ნაზი პაიკიძეს, ლუკა პაიჭაძესა და დავით ბენიძესაც (18 წ.ძ შეუძლიათ.

წყალბურთი

# რევანში არ შედგა

**საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა ლუგანოში ჩინებული სტარტი აიღო — ერთ-ერთ ფავორიტს დიდი ბრიტანეთის გუნდსაც სძლია 10:9. სამწუხაროდ, მესამე ტურში ჩვენები მალტელებთან დამარცხდნენ 10:12, არადა, საკვალიფიკაციო ტურნირში წაგებისთვის სარევანშოდ ემზადებოდნენ.** საწყალოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის ალექსანდრე ბითაძის ინფორმაციით, მსაჯებმა საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი, სახელოვანი წყალბურთელი რევაზ ჩომახიძე მესამე პერიოდის და-



საწყისში უსამართლოდ გააძევეს მატჩის ბოლომდე, რამაც გუნდის შემტევი ძალა დაასუსტა. ამ წაგების მიუხედავად, საქართველოს ნაკრებს ჯგუფის პირველ სამეულში მოხვედრის შანსი არ დაუკარგავს.

**გაუწყებთ მესამე ტურის დანარჩენი შეხვედრების ანგარიშებს:**

**A ჯგუფი:** სლოვენია — დანია 19:3, უკრაინა — თურქეთი 4:9, ბელარუსი — საფრანგეთი 7:10. ამ ჯგუფში 3 ტურის შემდეგ 9 ქულით საფრანგეთი ლიდერობს. სლოვენიას და თურქეთს 6-6 ქულა აქვთ, ბელარუსსა და უკრაინას — 3-3, დანიას 0 ქულა.

**B ჯგუფი:** პოლონეთი — ჰოლანდია 7:9, დიდი ბრიტანეთი — შვეიცარია 19:10. აქ 9 ქულით მალტა მეწინავეობს. 6-6 ქულით ჰოლანდია, საქართველო და დიდი ბრიტანეთი მეორე-მოთხე ადგილებს იყოფენ. შვეიცარია და პოლონეთი უქულოდ არიან.

კრივი

# მხოლოდ ფხაკაძე შემორჩა



**მილანში დასასრულს უახლოვდება მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატი. იტალიურ რინგს ქართველთაგან მხოლოდ კობა ფხაკაძე (60 კგძ შემორჩა.** მერვედფინალში მან მაროკოელ მაჰდი უატინს სძლია 17:3. გერმანელ ეუგენ ბერჰარდსაც თუ მოუგებს, სულ მცირე ბრინჯაოს მედალი გარანტირებული ექნება.

69 კილოში მერვედფინალური ორთაბრძოლა დათმო კახაბერ ჟვანიამ ირლანდიელ უილიამ მაკლუგელინთან (5:7ძ, რევაზ ქარელიშვილს (81ძ კი კუბელმა ხოსე გომესმა აჯობა (15:5ძ.

ინტერნეტიდან

## ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელი



**ფეხბურთში ერთობ პოპულარულმა მწვრთნელმა ლუის ფელიპე სკოლარიმ 18-თვიანი კონტრაქტი გააფორმა უზბეკურ კლუბთან, რითაც ყველაზე მაღალანაზღაურებად მწვრთნელად იქცა მთელს მსოფლიოში. ის სათავეში ჩაუდგა ტაშკენტის „ბუნედკორს“ და მისი ხელფასი სეზონში იქნება 13 მილიონი ევრო.**

ამხელ ფასით ბრაზილიელმა მწვრთნელმა გადაასწრო იტალიურ „ინტერის“ დამრიგებელს ჟოზე მოურინიოს, რომლის ხელფასი 11 მილიონი ევროა და რუსეთის ნაკრების „მესაჭეს“ — გუს ჰიდინკს — 9 მილიონი ევრო წელიწადში.

ახლა უზბეკეთში ბევრი რამ კეთდება იქაური ფეხბურთის ასაღორძინებლად, უფრო სწორად მისი წარმატებული ისტორიის შესაქმნელად, რაშიც დიდი წვლილი უნდა შეიტანოს ბრაზილიის ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის“ ყოფილმა მწვრთნელმა.

2010 წლის მარტისთვის უნდა დამთავრდეს ახალი სტადიონი 33 ათასი მაყურებლისთვის, მას მემბრანული სახურავი ექნება და 150 მილიონი დოლარი დაჯდება.

სულ მალე ტაშკენტში გაიმართება მეორე ამხანაგური მატჩი „ბარსელონასთან“, რისთვისაც ესპანური გუნდი 5 მილიონ ევროს მიიღებს, რაც ყველაზე ძვირი იქნება ფეხბურთის ისტორიაში. შეგახსენებთ, რომ 2008 წელს აშშ-ში გამართული რამდენიმემატჩიანი ტურისთვის „ბარსელონამ“ მხოლოდ 2 მილიონი ევრო მიიღო.

## „კაცი-ობობა“ მაღლა მიიწევს



**ის პოლიციამ მხოლოდ ცათამბჯენის ბოლო, 88-ე სართულზე შენიშნა, „სასწრაფოდ“ შეიპყრო და პოლიციის განყოფილებაში მიაბრძანა ბრალდების წასაყენებლად.**

ეს პირველი შემთხვევა როდია ფრანგი კლდეზე მცოცავ ალენ რობერისთვის. მას „დაპყრობილი აქვს“ ეიფელის კოშკი პარიზში, „ოქროს კარები“ სან-ფრანცისკოში, მსოფლიოს ბევრი სხვა მაღალი შენობა თუ ნაგებობა, რისთვისაც „ადამიანი-ობობა“ შეარქვეს.

ალენს რატომღაც მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურში არ უმართლებს. პოლიციის მეთვალყურეობას ვერ გაექცა. არა და იქ ხომ უამრავი მაღალი შენობაა, მსოფლიოში კარგა ხანს რომ პირველობდა.

პირველად რობერმა 1957 წელს სცადა ტყუპ ცათამბჯენზე Peironas towetrs ასვლა, მაშინ ის მსოფლიოში უმაღლეს ნაგებობად ითვლებოდა, მაგრამ მე-60 სართულზე პოლიციამ გამოიჭირა. 2007 წელს კვლავ სცადა ამ შენობის დაპყრობა, მაგრამ ამაოდ — ისევ პოლიციის ხელში აღმოჩნდა.

ამ ტყუპი „კოშკების“ სიმაღლე 451 მეტრია, ის ექსპლუატაციაში 1998 წელს გადაეცა და 2004 წლამდე ითვლებოდა მსოფლიოში უმაღლესად. შემდეგ კი მისი ადგილი დაიკავა ცათამბჯენმა „Taipei-101“, მისი სიმაღლე 509 მეტრია.

## სექსუალური თეთრეულის მოყვარული

**ინგლისური „ტოტენჰემის“ ფეხბურთელის ჯემი ო' ხარას სატრფო დანიელ ლოიდი რჩევებს არ იშურებს ქალებისთვის, თუ რა უნდა გააკეთონ ბოიფრენდების შესანარჩუნებლად.**

მაისში ერთ-ერთ ღამის კლუბში მას ინციდენტი მოუხდა, ჩხუბში ის წაიქცა და მინის მაგიდაზე დაეცა. ტოპ-მოდელი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მასზე თავდასხმის საბაბით პოლიციამ ორი ქალი დააპატიმრა.



იმ დროს ლამაზმანი უკვე ხვდებოდა ო' ხარას, ახლა კი მისი მსურველი მამაკაცების რიგი დგას.

„მე ძალზე მიყვარს სექსუალური თეთრეული! ეს ნამდვილად მნიშვნელოვანია, რადგან ის ძალზე მოქმედებს მამაკაცებზე! — თქვა დანიელმა.

ლამაზმანის თქმით, მას ასევე ძალზე უყვარს ავტომანქანებიც, თანაც ძალზე ძვირფასი...

ლოიდი იმასაც ამბობს, რომ მასა და ო' ხარას აქვთ ოცნება — უნდათ დაიქირაონ კერძო თვითმფრინავი სექსუალური ფანტაზიებისთვის.

◎ დიდი მსახიობის ხსოვნას

# ნათელი ახლდეს მის სვლას სასუფეველში...



**გარდაიცვალა მედეა ჩახავა...**

**ხანდაზმული დაემშვიდობა იგი საყვარელ სამშობლოს, სახელოვან შვილებსა და შვილიშვილებს, წინაპრების მადლით გასხივოსნებულ შვილთაშვილებს, ძველი და ახალი თაობის უამრავ კოლეგას, საქართველოს ყველა კუთხეში გუნდებს და გუნდებს თაყვანისმცემელთა!..**

**მეც, ცხადია, ვიყავი მისი დიდი ნიჭის თაყვანისმცემელი. ეგერ ეეეე... „ბაში-აჩუკიდან“ მოყოლებული, მერე კი რუსთაველის თეატრის სცენაზე ვნახე ბევრ სპექტაკლში... უკანასკნელად, ამ სამიოდე თვის წინათ, „მოხუც ჯამბაზებში“... მისი მრავალმხრივი სამსახიობო ნიჭის აღიარება რუსთაველის თეატრის წინ „მედეა ჩახავას ვარსკვლავის“ გახსნაც იყო...**



**ერთი სიტყვით, სიყვარული არ დაჰკლებია...**

**წავიდა და გული დაგვწყვიტა...**

ინტერვიუსთვის, ბოლოს, მისი დაბადების 80 წლისთავის დღეებში შევაწუხე...

— ეს ივიკოს ბინააო, — მეუბნება — საცაა მოიყვანს სკოლიდან პატარა კოტე მახარაძეს... ენაცვალოს ბებო...

**— ბებიობის ასაკიც გიხდებათ, ქალბატონო მედიკო... ახლა რომ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ ახალი ვერსია გადაიღონ, ოლღა ბებიას როლს თუ ითამაშებდით?**

— რატომაც არა. ისე, რუსთაველის თეატრში რომ დაიდგა „ბებია“, მე ზაბლონა მასწავლებლის როლი შევასრულე, თუ გახსოვთ...

**— რა თქმა უნდა...**

— ჰოდა, თავიდან თითქოს გამიჭირდა, მაგრამ, უცებ, გამახსენდა ჩემი საბავშვო ბაღის მასწავლებელი, „დავიჭირე“ მისი ხასიათი და მორჩა... ცხონებულმა ნოდარ დუმბაძემ „თავისებურად“ შემაქო, — მე ბებიაზე დავწერე ეს ნაწარმოები და არა ზაბლონაზეო...

**— სამაგალითო იყო თქვენი და ცხონებული ეროსის პარტნიორობა...**

— მე, მგონი, ფეხზე გადავიტანე ინფარქტი, მისი გარდაცვალება რომ შევიტყვე... ეროსის ხომ პირადი ცხოვრება არც ჰქონია, სხვებს იყო გადაყოლილი... ეს, თითქოს მხიარული კაცი, უდიდეს ნაღველს დაატარებდა: დედამისი — მძიმე ავადმყოფი — 30 წელიწადს ლოგინად იყო ჩავარდნილი, ეროსი სცენაზე არც ენახა, ტელევიზორში თუ მოკრავდა თვალს...

**— ამ კედლებზე თითქოს მთელი თქვენი „სიმდიდრეა“ გამოფენილი, ქალბატონო მედიკო...**

— ჰო, ჩემი მშობლების, პედაგოგების, პარტნიორების სურათები, ზოგიერთი როლი.. აი, ესენი მშობლები არიან — მამა ვასილ ჩახავა — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ცნობილი მეან-გინეკოლოგი, წარმოშობით მარტვილელი იყო, იქიდან იყო დედაჩემიც — მარიამ გაწერელია, სხვათა შორის, მას უსწავლებია წერა-კითხვა ჩვენი ჩინებული მწერლისა და ლიტერატურათმცოდნის აკაკი გაწერელიასთვის... ესეც ოთარია — ჩემი ძმა... დიდი მეცნიერი იყო — ბაქტერიოლოგი, მდინარეში დაიხრჩო შემთხვევით... და დავრჩი კენტად...

ხედავთ? უამრავი შთამომავალი ეხვია, მაინც, კენტად დავრჩიო, მითხრა... ამის შემდეგ კიდევ 8 წელი იცოცხლა ქალბატონმა მედიკომ, რამდენიმე სპექტაკლშიც ითამაშა ბრწყინვალედ და წავიდა ვალმოხდილი ზეციურ საქართველოში, უამრავ ახლობელთან უამრავ მეგობართან, თაყვანისმცემელთან წავიდა...

**ნათელი ახლდეს მის სვლას სასუფეველში...**

**ვილენ მარდალეიშვილი**

## განცხადება

**შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“ აცხადებს აუქციონს, ქარხნის საკუთრებაში არსებული ქონების:**

**1 ლოტი:** ცენტრალური მატერიალური საწყობის თაღური ანგარი №2-ისა და საწყობში შემომავალი სარკინიგზო ხაზის მიმდებარედ არსებული ღია ფარდულის – 1 წლის ვადით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის მიზნით.

ცენტრალური მატერიალური საწყობი თაღური ანგარი №2-ის (500 კვ.მ.) და საწყობში შემომავალი სარკინიგზო ხაზის მიმდებარედ არსებული ღია ფარდულის (500 კვ.მ.) ყოველწლიური საწყისი საიჯარო ღირებულება განისაზღვროს 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით (დღგ-სა და სხვა გადასახადების გარეშე), ბიჯი 50 ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველებმა უნდა წარმოადგინონ „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც განისაზღვრება მთლიანი ქონების საწყისი ფასის 10 პროცენტით: 1 ლოტი – 1500 (ათას ხუთასი) ლარი.

თანხა შეტანილი უნდა იქნას შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ ანგარიშზე სს „კორ-სტანდარტ ბანკი“ ბათუმის ფილიალი. კოდი 220101945; ანგარიშის №4133548.

აუქციონი გაიმართება შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ ადმინისტრაციულ შენობაში, მისამართი: ქ. ბათუმი. თამარის დასახლება, 2009 წლის 13 ოქტომბერს, 12 საათზე. განცხადებები მიიღება ამა წლის 9 სექტემბრიდან 9 ოქტომბრის 18 საათამდე.

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ 5-55-10; 5-55-30.**

**შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ დირექცია.**

---

**ღრმა მწუხარებას გამოვხატავ სახელგანთქმული მსახიობის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის ქალბატონ**

**მედეა ჩახავას**

**გარდაცვალების გამო, რომელთანაც მრავალი წლის კეთილი, მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებდა.**

**ედუარდ შევარდნაძე**
8.09.2009 წელი.

---

**საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი იუწყება ქართველი ხალხის საყვარელი პიროვნების, კინოსა და თეატრის უნიჭიერესი მსახიობის, მშვენიერი ქალბატონის**

**მედეა ჩახავას**

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.**

**მერაბ ბერძენიშვილი**

---

ქ. თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული თეატრისა და კინოს ღვაწლმოსილი მოღვაწე ქალბატონი

**მედეა ჩახავა**

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

◎ ინფორმაცია

## სიღნაღს აშენებენ თუ ანგრევენ?

**სიღნაღში**, რუსთაველის ქუჩა 14-ში მცხოვრები გიორგი ფაშალიშვილი, პროტესტის ნიშნად, გამგეობის შენობის წინ თვითმკვლელობით იმუქრება. ფაშალიშვილის საცხოვრებელი სახლი სიღნაღში სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს დაზიანდა და ინგრევა.

როგორც გიორგი ფაშალიშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, მას ხელთ ოფიციალური დასკვნაც აქვს, რომ სახლი ნამდვილად ქალაქის რეაბილიტაციის დროს დაზიანდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, დახმარება არავინ აღმოუჩინა. სამშენებლო კომპანია „თბილისის“ გენერალური დირექტორი ყურაშვილი დაზარალებულ მოქალაქეს „ხარვეზების აღმოფხვრას“ არაერთხელ დაპირდა, თუმცა ამ დრომდე უშედეგოდ.

დაზარალებულებს, რომლებსაც უსახლკაროდ დარჩენა ემუქრებათ, დახმარებას კახეთის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილიც არაერთხელ დაპირდა. ჯერ კიდევ გასულ წელს, გუბერნატორმა კახეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხს კონტროლზე აიყვანდა და ეს პრობლემა მოგვარდებოდა, მაგრამ ოცამდე ოჯახი გუბერნატორისგანაც მოტყუებული დარჩა.

ჯი-ეიჩ-ენი

## კონკურსი

ქ. თბილისის ს.ს.ი.პ №4 საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს უზუფრუქტის ხელშეკრულებით გაფორმებული სკოლის შენობის 116 კვ.მ. ფართის იჯარით გასაცემად.

საიჯარო ურთიერთობის მაქსიმალური ვადაა 2 წელი.

1 კვ.მ. საწყისი საკონკურსო ფასია 10 ლარი (საათობრივი გაანგარიშებით).

განცხადებების მიღება წარმოებს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში №4 საჯარო სკოლის დირექციაში.

**დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: ქ. თბილისი, ც. დადიანის 19. ტ. 899-29-81-06.**

---

ქ. თბილისის 92-ე საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს უზუფრუქტის ხელშეკრულებით გაფორმებული სკოლის შენობის 26 კვ.მ. ფართის იჯარით გასაცემად ბუფეტის ფუნქციონირებისთვის. საჯარო ურთიერთობის ვადა შეთანხმებით.

მინიმალური თვიური გადასახადი შეადგენს 80 ლარს.

განცხადების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნებიდან 1 თვის განმავლობაში.

საკონტაქტო ტელეფონი: 78-14-70, 18-24-94.

---

თბილისის 22-ე საჯარო სკოლა იჯარით გასცემს 33 კვ.მ. ფართს ბუფეტის ფუნქციონირებისთვის. მისამართი: მირცხულავას ქ. №4 (დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი) 34-76-69, 34-18-59.

---

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

---

შვილები დავით, ზურაბ კვირკველიები, რძლები მადონა მაჭავარიანი, ირინა სავინა, შვილიშვილები ქეთევან, ნინო კვირკველიები, დისწულები მანანა, მერაბ ტაბიძეები, ძმისწულები ჯემალ, დარეჯან ანდღულაძეები, მაზლები რეზო, გიორგი კვირკველიები ოჯახებით იუწყებიან

**ქეთევან დომენტის ასულ ანდღულაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9 IX, დაკრძალვა 10 IX, 15 სთ. მის: თბილისი, თემქის დასახლება, III მ/რ, III კვარტ, კორპ. 41, III სად. ბ. 91.

---

აფხაზეთის მთავრობა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული არტისტი, აფხაზეთიდან დევნილი

**გივი ჩახავა**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი

**გურამ ხარატიშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს. პანაშვიდი 10, 11 IX, 16 სთ. მისამართი: ბარნოვის 67; გამოსვენება 12 IX, 14 სთ. სიონის საკათედრო ტაძრიდან. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე.

---

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიკოსი

**გურამ ხარატიშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## ◉ დღის კალენდარი

9 სექტემბერი

 

ამოდის 05.33
ჩადის 18.21

ამოდის 19.11
ჩადის 07.22

# წლის 252-ე დღე — ახალ წლამდე დარჩა 113 დღე.

## მე-14 შვიდეული სულთმოფენობიდან. ოთხშაბათი.

**ხსენება ღირსი პიმენ დიდისა** (დაახლ. 450წ; წმიდა ოსესი, ალმსარებელისა, — კორდოველ ეპისკოპოსისა (359წ; წმიდა ლიბერი ალმსარებელი, რომის პაპისა (366წ; ღირსი პიმენ პალესტინელისა (დაახლ. 602წ, მოწამე ანთისასი; ღირსი საბასი.

ღირსი მამა პიმენ დიდი დაიბადა დაახლოებით 340 წელს ეგვიპტეში. თავის ორ ძმასთან — ანუბისა და პაისისთან ერთად ეგვიპტის ერთ-ერთ მონასტერში ბერად შედგა. ბევრი ბერისთვის ღირსი პიმენი სულიერი მოძღვარი და ხელმძღვანელი იყო. იგი დაახლოებით 450 წელს გარდაიცვალა 110 წლის ასაკში. მალე იგი წმიდანად აღიარეს. მან მორჩილებისთვის, სიბრძნისთვის, სიმართლისა და თავდადებული სამსახურისთვის „დიდის“ სახელიც მიიღო.

**მღვდელთმთავარი ოსე ალმსარებელი** (IV საუკუნე) 60 წლის განმავლობაში კორდოვის (ესპანეთი) ეპისკოპოსი იყო. წმიდა მართლმორწმუნე მეფე კონსტანტინე დიდი (306-337) ძალიან აფასებდა მას და იგი უახლოეს მრჩევლად გაიხადა. მღვდელთმთავრის მოთხოვნით, კონსტანტინემ 325 წელს ნიკეაში I მსოფლიო კრება მოიწვია. წმიდა ოსემ პირველმა მოაწერა ხელი კრების დადგენილებას. მღვდელთმთავარი ოსე 359 წელს გარდაიცვალა.

**მღვდელთმთავარი ლიბერი** ალმსარებელი რომის პაპის ტახტზე ავიდა 352 წელს პაპ იულიუსის გარდაცვალების შემდეგ. იგი 366 წელს გარდაიცვალა.

**ღირსი პიმენ პალესტინელი** რუბის უდაბნოს მღვიმეში VI საუკუნეში ცხოვრობდა. წმიდა მეუდაბნოე პიმენ პალესტინელი VI საუკუნის ბოლოს მხეცებმა დაგლიჯეს.

## დაიბადნენ:

**1585 — არმან რიშელიე,** ჰერცოგი, კარდინალი, საფრანგეთის ფაქტობრივი მმართველი.

**1737 — ლუიჯი გალვანი,** იტალიელი ფიზიკოსი და ფიზიოლოგი, ელექტრობის შესახებ მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი.

**1769 — ივან კოტლიარევსკი,** უკრაინელი მწერალი.

**1828 — ლევ ტოლსტოი,** რუსული ლიტერატურის კლასიკოსი. გარდაიცვალა 1910 წელს.

**1916 — ლეა ფლური,** შვეიცარიელი ქართველოლოგი.

**1949 — ჯონ კარი,** ინგლისელი ფიგურისტი, „ყინულის ნურიევად“ წოდებული.

## გარდაიცვალნენ:

**1087 — ვილჰელმ I დამპყრობი,** ინგლისის მეფე და ნორმანდიის ჰერცოგი.

**1898 — სტეფან მალარმე,** ფრანგი პოეტი.

**1901 — ანრი დე ტულუზ-ლოტრეკი,** ფრანგი მხატვარი.

**1942 — ედიტ შტაინი,** ფილოსოფოსი, დაიღუპა საკონცენტრაციო ბანაკ ოსვენციმში.

**1976 — მაო ძე დუნი,** ჩინეთის კომპარტიის დამაარსებელი და 27 წლის განმავლობაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლიდერი.

**1990 — ალექსანდრ მენი,** ცნობილი რუსი თეოლოგი.

## მოვლენები:

**1382 წელი** — მოსკოვი მონღოლ-თათართა ურდოებმა აიღეს.

**1776 წელი** — კონტინენტური კონგრესის გადაწყვეტილებით „გაერთიანებულ კოლონიებს“ „შეერთებული შტატები“ ეწოდა.

**1850 წელი** — კალიფორნია აშშ-ს 31-ე შტატი გახდა.

**1985 წელი** — ძლიერი მიწისძვრა მეხიკოში.

**1993 წელი** — პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ აღიარა ისრაელის სახელმწიფო.

**1999 წელი** — საცხოვრებელი სახლის აფეთქება მოსკოვში, რაც რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომის საბაბი გახდა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**სილამაზის საერთაშორისო დღე.**

**ტაჯიკეთი** — დამოუკიდებლობის დღე.

**ბულგარეთი** — თავისუფლების დღე

**კალიფორნია** — აღიარების დღე.

**იტალია** — მოკავშირეთა გადმოსხმის დღე

**ლუქსემბურგი** — გათავისუფლების დღე

**ჩრდილოეთი კორეა** — რესპუბლიკის დღე.

## ◉ ვულოცავთ!

# სამეგობროდ ანთებული...



ნაღდი ქალაქელი, ძველი ვერელი ნუგზარ მხეიძე 76 წლისა გამხდარა. შარშან უნდა მიმელოცა საიუბილეო თარიღი, მაგრამ ომის გამო ვერ მოვახერხე, თუმცა წელსაც არის ერთი საიუბილეო თარიღი — 50 წლის წინათ — თბილისის გაზიფიკაციის სათავეებთან მდგომი, დღესაც ახალგაზრდული შემართებით ემსახურება საყვარელ საქმეს და ქალაქს. ამ კაცის ცხოვრების ფილოსოფიის გამომხატველი ლექსით ვულოცავ მორიგ დაბადების დღეს.

**მამულის შემდეგ, ერთი რამ წამს მე — მეგობრობა**
**და არ მიგრძვნია არასოდეს ამ მხრივ ობლობა,**
**ერთ რამეს ვფიქრობ — ქვეყანაზე თუ ხარ ეული,**
**არ გყავს ძმაკაცი? სულ იქნები მტრისგან ძლეული.**

**ძმაკაცი გყავდეს: ერთი, ორი, ჯანდაბას, სამი, —**
**ზოგიერთ ბრიყვის შეგონება ჩემს სმენას სწვდება,**
**მე კი ვირწმუნე, მამაჩემის ბრძნული ნათქვამი, —**
**„გყავდეს რამდენსაც სამეგობროდ გული გასწვდება!“**

*P. S. მრავალჟამიერ „დავიდოვიჩ“, ნუგზარ ბატონო!..*

ჯვებე ხეცია

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## ◉ კადრი



## ◉ ინფორმაცია

### თუშეთში კოშკები შველას ითხოვენ

**თუშეთის** კულტურის ძეგლებს ნგრევა ემუქრება. ყველაზე მძიმე მდგომარეობაში სოფელ კვავლოში მდებარე მე-17 საუკუნის კოშკია. თუშეთის მცხოვრებლების ცნობით, კოშკს ბზარი დიდი ხნის წინათ გაუჩნდა, უყურადღებობის გამო კი ყოველდღიურად იზრდება.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის ნიკა ვაჩეიშვილის განცხადებით, თუშეთში არსებული იმ კოშკების გადასარჩენად, რომლებიც გაქრობის პირას არიან, 2009 წლის ბიუჯეტში თანხები გათვალისწინებული არ არის.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში განუცხადეს, იმ შემთხვევაში თუ კვავლოს კოშკს რეაბილიტაცია სასწრაფოდ არ ჩაუტარდა, კოშკმა შესაძლოა ზამთარს ვეღარ გაუძლოს და ჩამოიშალოს.

ჯი-ეიჩ-ენი

### გვაქვს განახლებული „რუსუდანიანი“

**იუსტიციის** სამინისტროს ეროვნულ არქივში დაცულ მე-18 საუკუნის „რუსუდანიანს“ დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების ლაბორატორიაში რესტავრაცია ჩაუტარდა.

XVII საუკუნეში გადაწერილი წიგნი ქაღალდზეა შესრულებული, ფურცლის ზომაა 29X21 სმ. მხედრულ ხელნაწერს სათაურები სინგურით (წითელი მელნით) აქვს გაფორმებული. ნაწარმოები 434 ფურცლისაგან შედგება.

ხელნაწერი გადაწერილია ბატონიშვილ იოვანეს მეუღლის ქეთევან წერეთლის ბრძანებით, დაახლოებით 1788-1790 წლებში.

ჯი-ეიჩ-ენი

## ◉ ანეკდოტები

ღამის სამი საათია. მეგრელის სახლში ტელეფონის ზარი ირეკება.

— ალო, ეს ძუკუს ბინაა?

— თქვენ წარმოდგენაც არა გაქვთ, რამდენად ღრმად სცდებით, პაიცემულო, — ბურტყუნებს პასუხად ჯერაც ბურანში მყოფი მეგრელი.

* * *

იმის მიუხედავად, რომ გენიალური და იდეალური ვარ, თვითკრიტიკაც ჩემი ძლიერი მხარეა.

* * *

დიალოგი ანტიკვარიატის მაღაზიაში:



— რა ღირს ეს ქოთანი?

— ეს ქოთანი კი არა, საყვავილეა!

— მე უკეთ ვიცი, რისთვისაც გამოვიყენებ მას...

* * *

ღრმა მოხუცებულობამდე ცხოვრობს არა ის მესანგრე, ვინც გრძნობს, სად არის ნაღმი, არამედ ის, ვინც გრძნობს, სად არ არის იგი.

* * *

შემთხვევა: ასანთის ქარხნის დირექტორს, რომელმაც თავის თანამშრომლებს ხელფასი დაუგვიანა, საწარმოს მუშებმა თავი გოგირდში ჩააყოფინეს და მერე იატაკზე ახახუნებინეს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.